ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 4 აპრილი, 2023 №66 (9102) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამინაცვლისგან გაუპატიურებული 11 წლის უსინათლო ბავშვი და სხვა შემზარავი ამბები



გვ.5



გვ.5

## ლაზარე გრიგორიადისს არ უნდოდა თმის გადაპარსვა და გადაპარსეს

# რატომ გამოჩნდა ივანიშვილი თუთიყუშებთან ერთად?!



გვ.2

## კახა ქემოკლიძე: „დასავლეთი მხოლოდ სალომე ზურაბიშვილს ელაპარაკება“





გვ.3

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლების მხრიდან ნამდვილად შეცდომაა ახალგაზრდების დევნა, მათთვის ტერორის გამოცხადება. ახალგაზრდებთან, სტუდენტებთან დაპირისპირება არცერთ ხელისუფლებას არ მოუგია“

# „დღეს ოპოზიციას სალომე ზურაბიშვილის მსგავსი ლიდერი სჭირდება“

## „ლაზარე გრიგორიადისმა მოლოტოვის კოქტეილი ისროლა თუ არა, კადრებში არ ჩანს“



გვ.3

მამუკა ახვლედიანი: „აქციაზე ჩემ თვალწინ რამდენიმე ადამიანის ცემა ვნახე პოლიციელების მხრიდან. შეუძლებელია, ასეთი ადამიანები პოლიციაში მუშაობდნენ“

## ოკუპირებულ ყირიმში ჩასახლებული რუსები უძრავ ქონებას ყიდიან




გვ.4



გვ.2

ირაკლი ღარიბაშვილი: „რამდენიმე დღის წინ პოლიციამ დააკავა პოლიციაზე თავდამსხმელი. ერთ-ერთმა ანარქისტმა პოლიციას „მოლოტოვის კოქტეილი“ ესროლა“

## რატომ გაძვირდა ონკოლოგიური მედიკამენტები



გვ.4



გვ.5

## ქალმა ქმარი სოციალურ ქსელში მიმდინარე ტრანსლაციის დროს მოკლა



გვ.5

## ავარიაში მოყოლილი ქალი მეუღლის აჩრდილმა გადაარჩინა

1993230720223

5 ვინ არის 25 წლის კაცი, რომელიც 13 წლის ბავშვზე სექსუალური ძალადობისთვის კახეთში დააკავეს

5 სამი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

4 უკრაინელ სამხედროს რუსეთის მომხრე მღვდლებმა ეკლესიაში სცემეს

6 პაშკა-მერსედესი შინაპატიმრობაში აიყვანეს

# რატომ გამოჩნდა ივანიშვილი თუთიყუშებთან ერთად?!

## კახა ქემოკლიძე: „დასავლეთი მხოლოდ სალომე ზურაბიშვილს ელაპარაკება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი **კახა ქემოკლიძე** პასუხობს.

***– ბატონო კახა, გასული კვირა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გამოსვლით დასრულდა. საინტერესო განცხადებები გააკეთა მან პარლამენტის ტრიბუნიდან, თუმცა საკმაოდ კრიტიკულად შეაფასეს პრეზიდენტი „ოცნების“ ლიდერებმა – იმედია, ზურაბიშვილი წითელ ხაზებს არ გადაკვეთსო. რა იგულისხმება ამაში და რატომ ნანობენ ახლა მის პრეზიდენტად არჩევას, ან ასე რადიკალურად რატომ შეიცვალა პრეზიდენტის პოზიცია ბოლო პერიოდში?***

– უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პრეზიდენტი ძალიან მკაფიოდ აცნობიერებს, ერთი მხრივ, გამოწვევებს, მეორე მხრივ, ამ შესაძლებლობის ფანჯარას და, ამავდროულად, აუცილებლობას, ნაკარნახევს საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან, რომ ეს გეოპოლიტიკური ფანჯარა გამოყენებულ იქნეს. როდესაც ადამიანი ამას ხვდება, იქ უკვე ცხადია, ყოველგვარი ლოიალობა პარტიასთან, კონკრეტულ ფიგურებთან, მათ შორის ბიძინა ივანიშვილთან, უბრალოდ, აზრს მოკლებულია. ჩემი აზრით და, დარწმუნებული ვარ, ქალბატონი ზურაბიშვილიც ამ აზრს იზიარებს, ზემიზანია მაგიდაზე დადებული. ზემიზანი არის სწორედაც ის, რომ საქართველო გავიდეს სამშვიდობოს და ეს გეოპოლიტიკური ფანჯარა გამოიყენოს.

თუ ჩვენ გარკვეულწილად ჩავეხსენით უკრაინასა და მოლდოვას, ევროკავშირის გაფართოება ინდივიდუალურად საქართველოსთვის არ მოხდება. ჩვენ ჩავრჩებით სამხრეთკავკასიურ კლასტერში. როდესაც ადამიანი ამ რისკებს აცნობიერებს, აანალიზებს და ცდილობს, სწორი პოზიცია დაიჭიროს, „ქართული ოცნება“ მას თავს ესხმის და ავლენს იმას, რომ სახელმწიფო კი არ არის ზემიზანი, არამედ პარტია და კონკრეტული პარტიული იდეოლოგიაა თურმე მათთვის უფრო მნიშვნელოვანი. ეს ყველაფერი ბოლშევიკური და კომუნისტური იდეოლოგიის გადმონაშთებია.

***– ბოლო შანსი გვაქვს 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლადო. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებენ ხელისუფლება და ოპოზიცია კონსტრუქციულ რეჟიმში დიალოგს? ოქტომბრის ბოლოს იქნება საბოლოო ვერდიქტი. მოვლენების როგორ განვითარებას ელით?***

– სულ რამდენიმე კვირის წინ მქონდა საშუალება, ვყოფილიყავი საფრანგეთში სხვადასხვა აკადემიური პროგრამით. ამავდროულად, მქონდა საშუალება, იქ საქართველოს მეგობრებთან მესაუბრა ანალიტიკური წრეებიდან, იმ ადამიანებთან, რომლებიც აქტიურ



პოლიტიკას უყურებენ და ზემოქმედებენ ფრანგულ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე.

***– როგორია იქაური განწყობები?***

– ვითარება არის შემდეგი: რომ არა ეს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოსული კანონი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ დააინიცრა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, კანდიდატის სტატუსის რომ საბოტაჟი მოეხდინა, თითქმის 80-90%-იანი ალბათობა არსებობდა, რომ კანდიდატის სტატუსი მიგვეღო. თუმცა ამ კანონმა უკიდურესად გაართულა გადაწყვეტილების მიღება პოზიტიური კუთხით. მათი არგუმენტი ასეთია: როდესაც საქართველოს ხელისუფლება შეგნებულად აკეთებს იმას, რომ მან კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს, მათი გადმოსახედიდან დღეს ძალიან რთულია კანდიდატის სტატუსის გაცემა საქართველოსთვის.

***– საქართველოს მოსახლეობის განწყობაც ხომ დაინახა ევროპამ. ამას ანგარიშს არავინ გაუწევს?***

– დიახ, ეგ არის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რასაც ისინი ცდილობენ, რომ ჩაებღაუჭონ. მთავრობის პოზიციის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის ახალგაზრდები, საკუთარ თავსა და მომავალს ხედავენ ცივილიზებული სახელმწიფოების გვერდით. ეს არის ერთადერთი, რამაც შეიძლება გადააწონინოს ევროპელ პოლიტიკოსებს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიღება.

***– როგორი იქნება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის როლი ამ პროცესში? ბოლო პერიოდში ვხედავთ მის გააქტიურებას, მართავს შეხვედრებს, ასევე ევროპარლამენტშიც გამოვა სიტყვით. რამდენად იქნება მისი დამსახურებაც, თუკი დადებითად გადაწყდა ეს საკითხი?***

– საქართველოს პრეზიდენტს ძალიან კარგი რეპუტაცია აქვს ფრანგულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. ზოგადად, არა მარტო ფრანგების მხრიდან, ბევრი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირის მხრიდან, ჩვენი მეგობრების მხრიდან გვესმის მკაფიო შეფასებები, რომ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და მისი ინსტიტუტი არის ერთადერთი ბოლო ბასტიონი, რომელიც არ ექვემდებარება „ქართულ ოცნებას“, ამ შემთხვევაში ივანიშვილს და ერთადერთი სწორად მოაზროვნე ინსტიტუციაა, რომელიც აცნობიერებს რისკებსაც და ამ სტრატეგიული ფანჯრის გამოყენების აუცილებლობასაც.

პრეზიდენტი წარმოუდგენელ მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ ეს შესაძლებლობა არ დავკარგოთ. სწორედ ამიტომაცაა, რომ მხოლოდ მას იწვევენ და კაციშვილს არ ელაპარაკებიან საქართველოს ხელისუფლებიდან, მათ შორის არც ფრანგები. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა, მას ოფიციალური მოწვევა პარიზში არა აქვს. არც ღარიბაშვილს. ეს არის ნათელი დადასტურება იმისა, რომ დასავლური ისტებლიშმენტი არ ესაუბრება საქართველოს ხელისუფლებას, რადგან მათ უღალატეს ევროპულ ფასეულობებს.

***– ხელისუფლების გარდა, ოპოზიციის რადიკალური ფრთაც მკვეთრად აკრიტიკებს სალომე ზურაბიშვილს, საკუთარი კარიერისა და თავის გადასარჩენად აკეთებს ამ განცხადებებს, თუ ასე არ არის, მაშინ, შეიწყალოს გვარამია და სააკაშვილიო. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ამაზე წამსვლელი პრეზიდენტი?***

– მე ვფიქრობ, რომ საქართველოს პრეზიდენტი, მიუხედავად ბევრი პოლიტიკური კრიტიკისა, მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველოს ეროვნულ, ნაციონალურ და ამ შემთხვევაში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს მოემსახურება. დღეს პრეზიდენტი აბსოლუტურად სწორად აანალიზებს იმ რისკებს, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას. მის ვერდანახვას, არგამოყენებას ან ამ რისკების არგადაზღვევას ისტორია შეაფასებს და ამ ისტორიაში კონკრეტული სახელები და გვარები ჩაიწერება. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ სალომე ზურაბიშვილი იქნება თუ ბიძინა ივანიშვილი, რეალურად დადგეს სწორ მხარეს. ისტორია არც ღალატს დამალავს და არც ეროვნული ინტერესების უგულებელყოფას. მგონია, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებს. ეს იქნება ერთი ადამიანის შეწყალება თუ ორის ან ნებისმიერი სხვა ქმედება, წინასწარ ძნელი სათქმელია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სალომე ზურაბიშვილი ისტორიის სწორ მხარეს დადგება. დღეს ვდგავართ გზაგასაყარზე, ან გავაღწევთ ამ მოჯადოებული წრიდან, ან ჩავრჩებით სამხრეთკავკასიურ ჭაობში, რომელიც კიდევ უფრო გაღრმავდება.

***– ბატონო კახა, რა გზას აირჩევს ქვეყნის რეალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი? ვისმენთ შეფასებებს, რომ თავის გადარჩენის მიზნით ძველ გუნდს გაწირავს და ცვლილებებს შემოგვთავაზებს. ბევრმა დაცინვად მიიღო მისი ბოლო გამოჩენა თუთიყუშების გარემოცვაში. რას იტყვით თქვენ, რის თქმა სურდა ამით ივანიშვილს, რამე ახალი ტრიუკი შემოაგდო?***

– სხვათა შორის, ერთი შეხედვით, უწყინარი და კარგ ფრინველებთან გამოჩენა, ჩემი აზრით, იყო არაჩვეულებრივი პოლიტიკური ტექნოლოგიის ინსტრუმენტულად გამოყენება. ეს ორ ძირითად მიზანს ემსახურებოდა. ერთი ის, რომ სახეზეა „ქართული ოცნების“ ფრუსტრაცია და მათ გასამხნევებლად გამოჩნდა, რომ ყველაფერი კარგადაა, ჩვენ ისევ ფორმაში ვართ. ამ გზავნილის გასამყარებლად გამოიტანეს ეს მესიჯი, რომ ბატონი ივანიშვილიც ლაღად არის, ის არაფერზე არ ნერვიულობს. მეორე მიზანი იყო ის, რომ ივანიშვილს ხშირად ახასიათებს საკუთარი ფიგურის სოციალური აღქმის კონტექსტში გაზომვა. მან რეფლექსებისა და საზოგადოების რეაქციების დონეზე დატესტა, რა დონეზე დაზიანდა თავად ბიძინა ივანიშვილი ბოლო დროს განვითარებული აბსოლუტური უგუნურებისა და სიგიჟის დროს. ეს ვიდეო სწორედაც ამ ორ ძირითად მიზანს ემსახურებოდა.

***– კარგი რეაქციები ნამდვილად არ ჰქონია საზოგადოებას მის გამოჩენაზე.***

– მეც მასე მგონია. მან გაზომა ეს რეაქციები, ამის მიხედვით დაალაგებს თავის გეგმებს და პოლიტიკურ ტრიუკებს სწორედ ამის გათვალისწინებით შემოგვთავაზებს.

***– რას იტყვით 9 აპრილის აქციაზე, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა აანონსებს? რამდენად მასშტაბური იქნება ეს აქცია და თუ შეუერთდებით?***

– ჩემი აზრით, ნაციონალური მოძრაობის დღევანდელი ხელმძღვანელობა აბსოლუტურად აცდენილია არსებულ პოლიტიკურ რეალობას. ისინი ვერ გრძნობენ საზოგადოების სოციალურ ქსოვილს. 9 აპრილს დაანონსებულ აქციას ჩვენ არ შევუერთდებით და არც მგონია, რომ ბევრი ხალხი გავა. რაც არ უნდა მოინდომონ, რეგიონებიდანაც რომ ჩამოიყვანონ, ბევრი ხალხი არ იქნება, რადგან ამის დაკვეთა არ არსებობს საზოგადოების მხრიდან. ეს პარტია არის ინტელექტუალურად დაცლილი, გამომშრალი და გარკვეულ დროის მონაკვეთში ჩარჩენილი პარტიაა. 9 აპრილის აქციის დაანონსება ისე, რომ ეს არავისთან არ იყო განსჯილი და გაანალიზებული, ჩემი აზრით, აბსოლუტური უგუნურებაა!

# ირაკლი ღარიბაშვილი: „რამდენიმე დღის წინ პოლიციამ დააკავა პოლიციაზე თავდამსხმელი. ერთ-ერთმა ანარქისტმა პოლიციას „მოლოტოვის კოქტეილი“ ესროლა“

– ტურიზმი, ვაჭრობა, მშენებლობა, წარმოება, ექსპორტი – ყველა მიმართულებით გვაქვს სერიოზული პროგრესი და მინდა, რამდენიმე სიტყვით შევეხო, ამ ყველაფრის შენარჩუნებისთვის რა არის საჭირო და აუცილებელი. არაფერი არ იქნება, თუ არ გვექნება ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა. დასაწყისში უკვე აღვნიშნე, რომ ძალიან რთული მდგომარეობაა მსოფლიოში. ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ასეთი გამოწვევა არ ყოფილა, უკრაინაში რაც ხდება. ხედავთ, რომ ომი არ ჩერდება უბრალოდ და უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილი, 20%-ზე მეტი უკვე გადაქცეულია პოლიგონად და მიმდინარეობს გამანადგურებელი ომი. ქალაქები, სოფლები, რაიონები სწორდება მიწასთან და ამის შემჩერებელი არავინაა. ამიტომ, ის გეგმა, რომელიც არსებობდა ჩვენ წინააღმდეგ, უკრაინიზაციის გეგმა და მეორე პოლიგონად გადაქცევის გეგმა ჩვენს მტრებს, რა თქმა უნდა, ჩაუვარდათ კიდევ ერთხელ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, პოლიციისთვის „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლა მიუღებელია, რაზეც სახელმწიფო იქნება უკომპრომისო.

– რამდენიმე დღის წინ პოლიციამ დააკავა პოლიციაზე თავდამსხმელი, და გახსოვთ, ყველამ ნახა კადრები, ერთ-ერთმა ანარქისტმა როგორ ესროლა პოლიციას „მოლოტოვის კოქტეილი“, ანუ ამ ადამიანს განზრახული ჰქონდა პოლიციელის ცოცხლად დაწვა. მე გამოვედი და ვთქვი ჩემი პოზიცია, რომ ამას არავის ვაპატიებთ, ესაა მიუღებელი, წითელი ხაზი, რომელზეც ჩვენ ვიქნებით უკომპრომისო. ასევე, თქვენ ნახეთ, საზოგადოებამ ნახა, რომ გეგმა იყო გაცილებით უფრო რთული. მათი გეგმა იყო მუდმივი ქაოსის დათესვა, საბოლოო მიზანი მათი, რა თქმა უნდა, იყო ქვეყნის დესტაბილიზაცია, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა, რაც, რა თქმა უნდა, არავის გამოუვიდა და გამოუვა. რაც შეეხება ანარქისტებსა და მათ ინსტრუქტორებს, მინდა შევახსენო ყველას, რომ ეს ადამიანები იყვნენ მომზადებული იმისთვის, რომ მომხდარიყო პროვოკაციები, პოლიციაზე თავდასხმები და ეს ყველაფერი არის თვალსაჩინო. ხალხმა ნახა კიდევ ერთხელ, რომ ამის მიზანი გაცილებით უფრო შორსმიმავალი იყო, მაგრამ მადლობა კიდევ ერთხელ პოლიციას. სახელმწიფო დადგა ძალიან მტკიცედ, გამოაჩინა სიძლიერეც და გონიერებაც, – განაცხადა პრემიერმა.



როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, კანონი აღსრულდება ყველას მიმართ.

– კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს დეგრადირებული ოპოზიცია, რომელიც არის აბსოლუტურად ხელმოცარული, თუ ვინმე ეწინააღმდეგება დღეს იმ სიკეთეებს, რაც ჩამოვთვალე – კეთილდღეობას, იმას, რომ მეტი შემოსავალი ნახოს ჩვენმა ხალხმა, ესაა სწორედ ეს დეგრადირებული ექსტრემისტული ოპოზიცია. მათ არ უნდათ, რომ ქვეყანაში იყოს მაღალი ეკონომიკური ზრდა, მშვიდობა, სტაბილურობა. ყველაფერს აკეთებენ, რომ შესწირონ საკუთარი ქვეყანა, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უსაფრთხოება.

მე მინდა, ყველას ვუთხრა ძალიან მკაფიოდ, რომ დღეს ხელისუფლება არის მოწოდების სიმაღლეზე, მტკიცედ და ძლიერად დგას, ვინარჩუნებთ მშვიდობას, სტაბილურობას, მაღალ ეკონომიკურ ზრდას და ამ გზაზე ჩვენ ვერავინ შეგვეწინააღმდეგება. ეს მინდა ვუთხრა მათ. აქ გადის ჩვენი ეროვნული ინტერესები, ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ინტერესები და, ბუნებრივია, ამ ბრძოლაში ვიქნებით უკომპრომისო. მიუღებელია ის, რაც მოხდა, კატეგორიულად მიუღებელია. უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც არის ბრალდებული და მხილებული პოლიციაზე თავდასხმის საქმეში. ერთი რამ მინდა შევახსენო ყველას, – მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში რაც მოხდა კაპიტოლიუმზე თავდასხმის დროს, 4 ადამიანი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, ადგილზე მოკლეს 4 ადამიანი, რომლებიც შეიჭრნენ კონგრესის შენობაში. ჩვენთან ეს თურმე ნორმაა, რომ ეს ანარქისტები შეგვეშვა პარლამენტის შენობაში, თურმე ნორმაა, რომ ცეცხლი გაუხსნან პოლიციას „მოლოტოვის კოქტეილებით“ და პოლიციამ არ უნდა იმოქმედოს, არ უნდა დავიჭიროთ არავინ, არავინ უნდა დავსაჯოთ და ამ ანარქისტებსა და ქაოსის დამთესველებს, ქვეყნის მტრებს მივცეთ საშუალება, ქვეყანაში შემოიტანონ არეულობა.

ამას, რა თქმა უნდა, არ ვიზამთ. ამერიკაში, შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ასეული ადამიანი იქნა მხილებული, მრავალი ათეული წლით გაუშვეს ციხეში, ოთხი ადამიანი ადგილზე მოკლეს. ევროპის ქვეყნებში ხედავთ, რაც ხდება. ევროპაში, როცა საქმე ეხება უსაფრთხოებას, სტაბილურობას, უკომპრომისო ბრძოლა მიდის. ჩვენთან ასე სუფთად ჩაატარა პოლიციამ ღონისძიება, არავინ დაშავებულა რეალურად, მაქსიმალური სიფრთხილით მოვეკიდეთ და დღეს გვეუბნებიან, რომ თურმე „მოლოტოვის კოქტეილს“ რომ ისვრის ვიღაც ანარქისტი და ქვებს რომ უშენენ პოლიციას, ამაზე უნდა დავხუჭოთ თვალი. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება და კანონი აღსრულდება ყველას მიმართ. ეს უნდა იყოს, რა თქმა უნდა, დაფუძნებული მტკიცებულებებზე და არავის უსამართლოდ არ დავსჯით, არ დაგვისჯია, არც არავინ დაისჯება. ეს მინდოდა მეთქვა. ჩვენ გვინდა ახლა დამშვიდება, საზოგადოებას სჭირდება მშვიდობა, სიწყნარე, მეტი სამუშაო ადგილები, მეტი კეთილდღეობა გვჭირდება და ის სიკეთეები, რომლებიც ჩამოვთვალე. ესაა ჩვენი მთავარი ამოცანა, მეტი პროექტის მშენებლობა და მეტი განვითარება, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – ხოსო გოგიაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – გლარა შალამაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ლაზარე გრიგორიადისმა მოლოტოვის კოქტეილი ისროლა თუ არა, კადრებში არ ჩანს“

ნონა ცაბაძე

## მამუკა ახვლედიანი: „აქციაზე ჩემ თვალწინ რამდენიმე ადამიანის ცემა ვნახე პოლიციელების მხრიდან. შეუძლებელია, ასეთი ადამიანები პოლიციაში მუშაობდნენ“

„ახალი თაობის“ კითხვებს საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე **მამუკა ახვლედიანი** პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, ექიმები აცხადებენ, რომ საკმაოდ რთულია მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა და ნებისმიერ დროს შესაძლოა, დადგეს მძიმე შედეგი. ხელისუფლების პოზიცია კი ასეთია – იმის გამო გავუშვათ პატიმარი, რომ ის არ იკვებებაო? რამდენად ელოდებით ამ საქმის სტრასბურში გასაჩივრებას, რატომ არ ჩქარობს ოჯახი, რომ საქმე წაიღოს სტრასბურში?***

– მე დეტალურად ოჯახის პოზიციას არ ვიცნობ, თუმცა ერთადერთი, რაც ჩანს და რაც გაჟღერდა ტელევიზიებითაც, არის ის, რომ ელოდებიან სახალხო დამცველის ექსპერტების დასკვნას და ამის შემდგომ აპირებენ სტრასბურში გასაჩივრებას. მე ვისმენ განცხადებებს, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის მძიმე, რასაც არ ითვალისწინებს არც სახელმწიფო, არც სასამართლო. ამიტომ დარჩა ერთადერთი ორგანო სტრასბური. ხომ არ შეიძლება, ადამიანი ციხეში გარდაიცვალოს მსგავსი დამოკიდებულების გამო?! ეს ქვეყნის სირცხვილია. ყველა მის მძიმე მდგომარეობაზე საუბრობს, გარდა ერთი ჯგუფი პოლიტიკოსებისა. ძალიან სწრაფად უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება. დიდი ალბათობით, ოჯახი ელოდება ამ დასკვნას და მერე მიიღებს გადაწყვეტილებას.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, როდესაც დასკვნა დაიდება, მიიღებს ხელისუფლება პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და გადაიყვანს სააკაშვილს სამკურნალოდ?***

– ვერ გეტყვით. ხელისუფლებას ამ დრომდე არცერთი სწორი ნაბიჯი არ გადაუდგამს. შესაბამისად, ვერ გეტყვით, მომავალში რას იზამს. მათ დღეს ამის სურვილი არ გააჩნიათ და ამ დამოკიდებულებას არც მალავენ. მე ვფიქრობ, რომ მოუწევთ ამის გაკეთება და სასურველია, ისინი მოიქცნენ გონივრულად და ადამიანის სიცოცხლეს არ შეუქმნან საფრთხე.

***– უნდა წავიდეს სააკაშვილის ოჯახი სტრასბურში?***

– რა თქმა უნდა, უნდა წავიდეს და აბსოლუტურად ყველა სამართლებრივი გზა უნდა იქნეს გამოყენებული. არანაირი სხვა ფორმა და ინსტიტუცია ქვეყანაში აღარ დარჩა, რომელიც ამაზე რეაგირებას შეძლებს. ამ წუთში სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

***– ბატონო მამუკა, რას იტყვით 7-8 მარტის მოვლენების დროს დაკავებული ლაზარე გრიგორიადისის საქმესთან დაკავშირებით? თქვენთვისაც ცნობილია, რამხელა პროტესტი მოჰყვა მის დაპატიმრებას. რამდენად სწორად მიიღო მოსამართლემ გადაწყვეტილება?***



– ამ აქციებზე მეც საკუთარ მცირეწლოვან შვილებთან ერთად ვიყავი. დავინახე ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა. რასაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები აკეთებდნენ იქ, ჩემ თვალწინ, ეს წარმოუდგენელია. თუ რამე სახიფათო ქმედებაზე შეიძლება საუბარი, ეს იყო ის გადამეტებული ძალა, რომელსაც ისინი იყენებდნენ აქციის მონაწილეების მიმართ. ახალგაზრდების ეს რეაქცია იყო საპასუხო რეაქცია იმ ქმედებებზე, რომლებსაც სჩადიოდნენ პოლიციელები.

***– რამდენად სწორია ახლა კონკრეტულად ლაზარეს გაშვება ციხეში? ეს ახალგაზრდების დაშინების მცდელობაა?***

– როცა კონკრეტული ფაქტით ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, მძიმე ფაქტია, როდესაც ვილაც მოლოტოვის კოქტეილს ესვრის პოლიციელებს. რასაკვირველია, ცალკე აღებული ფაქტი ვერავისთვის მოსაწონი ვერ იქნება, მაგრამ, როდესაც ასე გამოარჩევ ერთ ადამიანს, როცა არანაირი დადასტურებული ფაქტები არ არსებობს, ფოტოები და კადრები, რაც გადიოდა, აბსოლუტურად სხვადასხვა ადამიანია. კადრებით არაფერი არ ჩანს, მხოლოდ პოლიციელების ჩვენებას დაეყრდნო მოსამართლე.

***– ანუ, შესაძლოა, სულაც არ იყო ეს ლაზარე და იყო სხვა?***

– აბსოლუტურად შესაძლებელია. იქ ქვას ბევრი ისროდა. მაშინ, დარღვევა სხვისთვისაც არის ეს.

***– რა პრინციპით ამოარჩიეს მხოლოდ ლაზარე?***

– სწორედ ესაა საქმე, რომ წინასწარ დახატა ხელისუფლებამ ადამიანის სურათი, როგორი უნდა ყოფილიყო სავარაუდო დამნაშავე და ისე დაიჭირა.

***– მოვისმინეთ პრემიერისგან შეფასებები – სატანისტები და ასე შემდეგ.***

– დიახ, უმრავლესობის წევრებიც ამას იმეორებდნენ. აი, ეს არის ყველაზე თვალსაჩინო, თუ რატომ არის ეს პოლიტიკური დაკავება. იქ რომ იყვნენ დაკავებული სხვა ადამიანებიც, პოლიციელებიც... ჩემ თვალწინ იქ რამდენიმე ადამიანის ცემა ვნახე პოლიციელების მხრიდან. შეუძლებელია, ასეთი ადამიანები პოლიციაში მუშაობდნენ. შესაბამისად, როცა ხედავ, რომ მხოლოდ ერთ მხარეს და ერთი ადამიანის მიმართ ხდება სამაგალითოდ ამის გაკეთება, აი, ეს არის სწორედ პოლიტიკური დაკავება. თუ რამე დადებითი ნაბიჯი გადმოდგა ევროპამ კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მთავარი ამ აქციების დამსახურებაც იქნება.

***– აღიარა ლაზარემ, რომ მან მოლოტოვის კოქტეილი ისროლა?***

– მე არ მომისმენია მისი აღიარება და არც პროცესზე გაჟღერებულა. როგორც ვიცი, დუმილის უფლებას იყენებდა. არავინ იცის, ეს ადამიანი რა სიტუაციაში იყო და რა პირობებში მისცა ჩვენება. მხოლოდ ორი პოლიციელის ჩვენებაზე დაყრდნობა არ შეიძლება.

***– როგორ ფიქრობთ, დატოვებენ ლაზარეს პატიმრობაში?***

– სამწუხაროდ, დღევანდელი სტანდარტებიდან გამომდინარე, როგორც აზროვნებს სასამართლო, მე ვერანაირ პერსპექტივას ვერ ვხედავ. დღეს ჩვენ არ გვაქვს სასამართლო. სასამართლოები ვერ იღებენ გადაწყვეტილებებს მნიშვნელოვან საკითხებზე. სწორედ ხელისუფლების დაკვეთა და მოთხოვნაა, რომ ეს ადამიანი იყოს დაკავებული და, შესაბამისად, სასამართლო ამ გადაწყვეტილებას არ შეცვლის. დღევანდელი სასამართლო არის ხელისუფლების დანამატი, რომელიც ასრულებს მის დავალებებს. გადაწყვეტილების შეცვლას ნამდვილად არ ველი.

# „დღეს ოპოზიციას სალომე ზურაბიშვილის მსგავსი ლიდერი სჭირდება“

ნათია ხურცილავა

## სოსო ცინცაძე: „ხელისუფლების მხრიდან ნამდვილად შეცდომაა ახალგაზრდების დევნა, მათთვის ტერორის გამოცხადება. ახალგაზრდებთან, სტუდენტებთან დაპირისპირება არცერთ ხელისუფლებას არ მოუგია“

პოლიტოლოგი, პროფესორი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, შეიძლება ვთქვათ, რომ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა კეზერაშვილმა პოლიტიკაში მოსვლის ღია განაცხადი გააკეთა?***

– ჩემი აზრით, კეზერაშვილს პოლიტიკის პირველ რიგებში ყოფნა გაუჭირდება. ის არ არის ლიდერი. ის არ არის საჯარო ფიგურა. მასზე შეიძლება ვთქვათ, რომ უფრო კულისებში მოქმედი პირია. იმავეს თქმა შეიძლება მერაბიშვილზე. მერაბიშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი სააკაშვილის მთავრობაში უფრო არასაჯარო პირები იყვნენ. ისინი უფრო მენეჯერები იყვნენ, ვიდრე ლიდერები. ადეიშვილს ერთი საჯარო ინტერვიუ არ მიუცია და როგორი პოლიტიკოსია, რთული სათქმელია.

პოლიტიკა და პოლიტიკოსობა კი სხვა რაღაცაა. ამიტომ, მე არა მგონია, რომ კეზერაშვილი ოპოზიციის ლიდერად გამოდგეს. ამისთვის სულ სხვა ქარიზმა და მონაცემებია საჭირო.

რაც შეეხება კეზერაშვილის გამდიდრებას, მისი ფულის წარმომავლობას, ვერაფერს გეტყვით. მე არ ვიცი, როგორ გამდიდრდა, რადგან ამის დასადგენად დამოუკიდებელი სასამართლოა საჭირო. როგორც მახსოვს, ერთი სასამართლო პროცესი ჩატარდა საფრანგეთში, სადაც გამართლდა.

***– აღმოჩნდა, რომ მთლიანად ოპოზიციას თუ არა, სერიოზულ ნაწილს მაინც აფინანსებს. როგორც იტყვიან, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს. გამოდის, კეზერაშვილს ოპოზიციის ნაწილზე გავლენა აქვს.***



– ცხადია, ასეთი გამოთქმა არსებობს და ეს მხოლოდ გამოთქმა არ არის. რეალობაშიც ასე ხდება, მაგრამ, რაც შეიძლება იყოს დამაიმედებელი, არის ის, რომ კეზერაშვილი არ იქნება პრორუსული იდეების გამტარი და დამკვეთი. ფაქტია, რომ დღეს მას შეუძლია, ნებისმიერ პარტიას სერიოზული ფინანსური დახმარება გაუწიოს, მაგრამ ის ვერ იქნება ლიდერი. ეს არ იქნება პარტიისთვის მომგებიანი, რადგან შეიძლება ბევრი ტყუილ-მართალი გაუხსენონ. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, მისი პოლიტიკური საქმიანობა ამ დონით შემოიფარგლება. თუმცა ხელისუფლების მხრიდან მძიმე არტილერიის გამოყენება მისი მისამართით მაფიქრებინებს, რომ შეიძლება საქმე უფრო სერიოზულადაა, რადგან ბეღურებს ზარბაზნებს არ ესვრიან.

***– მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის რამდენად არის მოსალოდნელი სერიოზული ძვრები, ახალი ლიდერების, ძალების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა?***

– არაფერი არ არის გამორიცხული. ეს უფრო მოსალოდნელი იქნება შემოდგომისთვის. ამიტომ, ვიტყოდი, რომ ცხელი და საინტერესო შემოდგომა გველის.

დღეს ოპოზიციას სალომე ზურაბიშვილის მსგავსი ლიდერი სჭირდება, რომელსაც, ყველა პოლიტიკური ლიდერისგან განსხვავებით, მზარდი რეიტინგი აქვს. ყველა ლიდერის რეიტინგი მცირდება, ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება თუ ოპოზიციის, გარდა პრეზიდენტისა. სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ ყულაბაში სერიოზული აქტივია, სერიოზული ფორაა როგორც ევროპის, ისე ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის კუთხით. დღეს, როდესაც ხელისუფლებაც და ოპოზიციაც შეცდომას შეცდომაზე უშვებენ, ეს განსაკუთრებულად ჩანს.

ოპოზიციის შეცდომები ასახვას ჰპოვებს მხოლოდ იმ ერთ პარტიაზე, რომელსაც ესა თუ ის ოპოზიცია წარმოადგენს, მაგრამ, რაც შეეხება მმართველი პარტიის შეცდომას, ეს ქვეყანაზე აისახება. შეცდომებს, რომლებსაც „ქართული ოცნება“ უშვებს, ქვეყანა გრძნობს საკუთარ კისერზე. ეს განსხვავებაა.

ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესი ქვეყნისთვის წინ არის.

***– შეცდომა ახსენეთ და რომელ შეცდომაზე საუბრობთ?***

– ხელისუფლების მხრიდან ნამდვილად შეცდომაა ახალგაზრდების დევნა, მათთვის ტერორის გამოცხადება. ახალგაზრდებთან, სტუდენტებთან დაპირისპირება არცერთ ხელისუფლებას არ მოუგია. ჭკვიანი ხელისუფლება ეცდებოდა მათთან მისასვლელი გზების პოვნასა და მათ გადმობირებას. სტუდენტობა სულ სხვა ძალაა. ეს ხალხი ბევრად უფრო ორგანიზებულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ძალა, გნებავთ, პოლიტიკური პარტიაც კი.

სტუდენტები ყოველდღე ლექციებზე ხვდებიან ერთმანეთს, ერთმანეთთან კომუნიკაცია აქვთ, განიხილავენ ყველაფერს, მათ შორის პოლიტიკას. ისინი ანთებულნი არიან, ენერგია აქვთ. მათთან დაპირისპირება იმდენად წარმოუდგენელი და უპატიებელი შეცდომაა, რომ არ ვიცი, რა ლოგიკით ავხსნა. ნუთუ „ქართულ ოცნებაში“ ერთი ჭკვიანი კაცი ვერ მოიძებნა, რომელიც მათ ეტყოდა, რომ ეს შეცდომაა, ჩვენ სტუდენტებთან ამ ომს წავაგებთო. ახალგაზრდების მუქარა და დასჯა, ამ ენით მათთან საუბარი ყოვლად დაუშვებელია. მუქარა, დასჯა ბანდიტებთან, კრიმინალებთან საურთიერთო ენაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – სტუდენტებთან. ამას ვერ ხვდებიან ან არ უნდათ, რომ მიხვდნენ. ამით კი სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომას უშვებენ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „იანვარ-თებერვალში ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებელი გვაქვს – 7.1%-ია ეკონომიკური ზრდა“

– მე მინდა, რამდენიმე პოზიტიური ინფორმაცია გავაცნო ჩვენს საზოგადოებას. იანვარ-თებერვალში ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებელი გვაქვს, – 7.1% არის ეკონომიკური ზრდა, რაც, რა თქმა უნდა, არის ძალიან მნიშვნელოვანი, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ შარშან გვქონდა ძალიან მაღალი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და ამის ფონზე გვაქვს საკმაოდ სოლიდური, მაღალი ეკონომიკური ზრდა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მაღალ ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სხვადასხვა მიმართულებებით მაღალმა აქტიურობამ. მათ შორისაა მშენებლობა, საფინანსო სექტორი, ვაჭრობა, ტრანსპორტი და ტურიზმი.

– იანვარში გვქონდა 8%-ზე მეტი და თებერვალში გვქონდა 5.8% ეკონომიკური ზრდა, ანუ საერთო შეწონილი, საშუალო მაჩვენებელი გამოვიდა 7.1%, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მისასალმებელია, და მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რაც ხდება მსოფლიოში, ომები და უამრავი გამოწვევა. ამაზე მოგვიანებით კიდევ მოგახსენებთ დამატებით, ეს არის ძალიან სერიოზული მიღწევა.

ასევე მინდა გითხრათ, თუ რამ განაპირობა მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი, რამ შეიტანა ამ მაღალ ზრდაში, – მშენებლობა, საფინანსო სექტორი, ვაჭრობა, ტრანსპორტი, ტურიზმი, ყველა მიმართულებით არის მაღალი აქტიურობა დაფიქსირებული, – აღნიშნა პრემიერმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ინფლაცია მთელი მსოფლიოს გამოწვევაა, შარშან ევროზონაში ორნიშნა ინფლაცია დაფიქსირდა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 20-25, 30%-მდეც კი ავიდა, მოლდოვაში 37% იყო და ამ დროს საქართველომ, გამოწვევების მიუხედავად, ინფლაციის 5,3%-მდე შემცირება შეძლო.

პრემიერმა აღნიშნა, რომ აშშ-სთან მიმართებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი თითქმის 6,3 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.

– მესამე ძალიან პოზიტიური ინფორმაცია, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ეს არის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. ეს იყო გამოწვევა. შარშან, გარდა იმისა, რომ ჩვენ გვქონდა უპრეცედენტოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა და ასევე დასაქმების მიმართულებითაც ძალიან სერიოზული გაუმჯობესება გვქონდა, ბოლო ორ წელიწადში შეიქმნა 220.000 ახალი სამუშაო ადგილი, ამის გარდა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ისტორიული მინიმუმი დაფიქსირდა – 4,1 პროცენტი, რაც, რა თქმა უნდა, არის ძალიან მნიშვნელოვანი. თითქმის 6,3 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა აშშ-სთან მიმართებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. ასე რომ, ეს არის ძალიან სერიოზული მიღწევა, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერის თქმით, ქვეყნის რეზერვები დღეს ისტორიულ მაქსიმუმზეა.

– მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი არის ისტორიულ მინიმუმზე. მთლიანი შიდა პროდუქტი, მთელი ქვეყნის ეკონომიკა ასევე არის ისტორიულ მაქსიმუმზე. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, ასევე არის ისტორიული მაქსიმუმი, 8.000 დოლარამდე იქნება წელს უკვე. უმუშევრობა და სიღარიბე გვაქვს ჩვენ ისტორიულ მინიმუმზე. გრძელდება ფასების შემცირება მედიკამენტებზე, სურსათზე, საწვავზე. ჩვენ ასევე გვქონდა პირველადი საუბარი პურის მწარმოებლებთან და გვაქვს მოლოდინი, რომ მათგანაც მოხდება ასახვა ფქვილის ფასებზე, ვინაიდან დაფიქსირდა ძალიან მნიშვნელოვანი კლება. შესაბამისად, უნდა მოხდეს ასახვა პურის ფასებზეც. ამის თაობაზე ბატონი ოთარ შამუგია უკვე ესაუბრა თავის დარგში მომუშავე მწარმოებლებს და გვაქვს პოზიტიური მოლოდინი.

მთლიანობაში, მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ პოზიტიური მოლოდინები გვაქვს წელს. ჩვენ ასევე ვგეგმავთ სერიოზული მსხვილი პროექტების დაწყებას, როგორიც არის ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება. წელსვე გვინდა, რომ დავიწყოთ მშენებლობა, შემოდგომაზე. ასევე, აეროპორტის მიმართულებით გვაქვს ჩვენ სერიოზული გეგმა, რომ წელს, წლის ბოლომდე მოვახდინოთ ახალი პროექტის შეჯერება, დამუშავება. ჩვენ გვაქვს ინტერესი, რომ ერთ-ერთი საუკეთესო აეროპორტი იყოს რეგიონში ახალი აეროპორტი, რომელსაც 2-3 წელი დასჭირდება, რომ აშენდეს. ესეც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიციას გულისხმობს. აეროპორტი, პორტი, რა თქმა უნდა, გრძელდება ინფრასტრუქტურა, გზების მშენებლობა და ჰესები, მსხვილი ჰესების მშენებლობა. ეს პირდაპირ იქნება ბონუსი და დამატებითი, ასე ვთქვათ, დაბუსტავს ეკონომიკურ ზრდას, ისედაც მაღალ ეკონომიკურ ზრდას. ეს არის ჩვენი მოლოდინები უახლოესი ერთი წლის და მომდევნო წლების განმავლობაში, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# ოკუპირებულ ყირიმში ჩასახლებული რუსები უძრავ ქონებას ყიდიან

მარიამ მჭედლიშვილი

## „უნდა მოხდეს ყველა ოკუპანტის დეპორტაცია“

პუტინის განზრახვას, განალაგოს ბელარუსში ტაქტიკური ბირთვული იარაღი, პეკინიც უარყოფითად გამოეხმაურა. ჩინეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა ყველას შეახსენა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 5-მა მუდმივმა წევრმა გააკეთა ერთობლივი განცხადება ბირთვული ომისა და ბირთვული რბოლის დაუშვებლობის შესახებ. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ მხარეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ უკრაინის კრიზისის მშვიდობიანად მოწესრიგების დიპლომატიურ ძალისხმევაზე.




პუტინი, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაპატიმრების ორდერი გასცა, ბირთვული იარაღით იმუქრება. იმავდროულად, უკრაინის ფრონტზე რუსეთის არმიას საქმე ცუდად მისდის. როგორც ჩანს, რუსეთში მიტაცებული ყირიმის შენარჩუნების იმედიც დაკარგეს.

რუსები ყირიმში ქონებას ყიდიან. 2014 წლის შემდეგ იქ რუსეთიდან ხალხი მრავლად გადაბარგდა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა უკანონოა და ეს ოპერაციები ბათილად ჩაითვლება. ადრე თუ გვიან ოკუპანტ რუსეთს ამის გაკეთება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებითაც მოუწევს.

უკრაინაში შექმნილ მდგომარეობაზე ბელარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა უკრაინელი პოლიტიკოსი ბორისლავ ბერეზა.

***– უკრაინის დაზვერვის ცნობით, რუსებმა დაიწყეს თავიანთი უძრავი ქონების გაყიდვა ყირიმში და იქიდან ოჯახების გაყვანა. ეს რას უკავშირდება?***

– რუსები კარგად აცნობიერებენ, რომ უკრაინის ჯარები ყირიმში შევლენ და ნახევარკუნძული უკრაინას დაუბრუნდება. ისინი ცდილობენ, თავიდან მოიშორონ აქტივები, რომლებმაც დროის გასვლის შემდეგ შეიძლება საერთოდ ფასი დაკარგონ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებულ შეთანხმებებს არ ცნობს არც უკრაინა და არც საერთაშორისო საზოგადოება. მას შემდეგ, რაც უკრაინა ყირიმზე კონტროლს დაიბრუნებს, რუსების უფლებები უძრავ ქონებაზე ანულირებული იქნება.

რუსებს ესმით, რომ თუ უკრაინა ყირიმს არ დაიბრუნებს, ომი ვერ დასრულდება. რუსეთის საზოგადოებაში უკვე დაიწყო იმაზე მსჯელობა, რომ ნახევარკუნძულის დაბრუნება მოუწევთ. ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ ამაზე არავინ არც კი ფიქრობდა. ეს იმასაც ადასტურებს, რომ რუსებმა დაიწყეს ომიდან გამოსვლის შესაძლებლობის ძიება, ოღონდ, მხოლოდ საკუთარი თავისათვის.

***– საბრძოლო მოქმედებების ამ ეტაპზე რა როლი ენიჭება შორ მანძილზე მოქმედ იარაღს, რომელიც უკრაინას მიეწოდება?***

– ის აახლოებს უკრაინის გამარჯვებასა და უკრაინის ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენას. მიმაჩნია, რომ კონტროლის აღდგენა მხოლოდ ნახევარი საქმეა. აუცილებელია ასევე განხორციელდეს მოქმედებები რუსების დასაბრუნებლად თავიანთ სამშობლოში. მათი დიდი რაოდენობა დამკვიდრდა ყირიმში. რუსებს იქიდან წასვლა არ უნდათ. ნაწილი ფიქრობს, რომ მოიცდის და რთულ პერიოდს გადაიტანს, ნაწილს კი გარიგების იმედი აქვს. დარწმუნებული ვარ, უნდა მოხდეს ყველა ოკუპანტის დეპორტაცია უკრაინის ტერიტორიიდან, ყირიმი კი უკრაინის ტერიტორიაა.

### „ბირთვული იარაღის გადაადგილებასა და მასთან დაკავშირებულ მოქმედებებზე სრული მონიტორინგია“

სხვათა შორის, ლუკაშენკომ მხარეებს საომარი მოქმედებების შეწყვეტისკენ მოუწოდა. ასეთ მოწოდებას მივესალმები, ლუკაშენკოს კი მოვუწოდებ, ეს თვითონ დაიწყოს. ამისათვის, მინიმუმ, მას მოუწევს, გაიყვანოს რუსეთის ყველა ჯარი ბელარუსიდან; აკრძალოს რუსეთის სამხედრო ავიაციის აფრენა მაჩულიშჩის აეროდრომიდან. რასაკვირველია, პუტინმა დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს უკრაინის ტერიტორია თავისი ჯარისაგან ლუგანსკის, დონეცკის, ხერსონისა და ზაპოროჟიეს, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით. ყოველივე ამის განხორციელების შემდეგ ლუკაშენკოს მოწოდებას რაღაც აზრი მიეცემა.

***– მოწოდებების მიუხედავად, ლუკაშენკო პუტინს შეუთანხმდა ბელარუსის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განთავსებაზე. რითია გამოწვეული ეს ნაბიჯი?***

– ეს არის ფსონის მორიგი აწევა იმისთვის, რომ დასავლეთი დაშინდეს. არადა, დასავლეთს არაფრის ეშინია. ადრე ბელარუსი ბირთვული იარაღისგან თავისუფალი იყო და ამ ქვეყანას არაფერი ემუქრებოდა. დღეს ის ხდება ტერიტორია, რომელსაც შეიძლება მიაყენონ დარტყმა. ეს გაანულებს ამ იარაღის გამოყენების შესაძლებლობას. კრემლს შეუძლია ამგვარი მოქმედებების პროვოცირება. შესაბამისად, ბელარუსი ახლა საფრთხის ზონაშია. აქამდე ქვეყანა მიიყვანა ლუკაშენკომ პუტინის კონტროლით.

***– თუ ლუკაშენკო დაუშვებს ბირთვულ დარტყმას ბელარუსის ტერიტორიიდან, რა შედეგები ელის მომავალში?***

– ამჟამად ბირთვული იარაღის გადაადგილებასა და მასთან დაკავშირებულ მოქმედებებზე სრული მონიტორინგია. ბირთვული იარაღის გამოყენების მცდელობის შემთხვევაში, ბელარუსის ტერიტორიაზე მოხდება პრევენციული დარტყმა, რომელიც ყველა შანსს გაანულებს.

# რატომ გაძვირდა ონკოლოგიური მედიკამენტები

– ჯანდაცვის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო უწყებას, ხელი მიუწვდება იმ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, რასაც ჰქვია შესყიდვის ფასი. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ კოლოსალურ ფასნამატებზე (ამ ფრაზამ გაიჟღერა მთავრობის მხრიდან), მთავრობას აქვს „ინვოისი“ და აქვთ საბოლოო ფასი. ანუ რა ფასად ყიდულობენ და რა ფასად ყიდიან. ეს ხომ ძალიან მარტივი გასარკვევია?! – ამის შესახებ ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის დირექტორმა ირაკლი მარგველაშვილმა გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.

ცნობისთვის, ჯანდაცვის სამინისტრო ფარმაცევტული კომპანიების ნაწილს ადანაშაულებს, რომ ონკოლოგიური დანიშნულების ძვირადღირებული მედიკამენტების ფასები ხელოვნურად, მნიშვნელოვნად გაზარდეს.

როგორც ირაკლი მარგველაშვილი ამბობს, სინამდვილეში, აღნიშნული მედიკამენტები გასული წლის მარტში უფრო ძვირი იყო, ვიდრე ახლა.

– რეალურად რა მოხდა, დაახლოებით 2 კვირის წინ, გახსოვთ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთიდან იმპორტირებულ მედიკამენტებზე მოხდა სპონტანურად ფასის აწევა, შემდეგ ფასი ისევ ჩამოვიდა ქვემოთ. მაშინაც გამოითქვა ეჭვი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, რომ ეს, შესაძლოა, იყო შეთანხმებული ქმედება. ანუ, კომპანიები შეთანხმდნენ და ეს ყველაფერი ერთობლივად განახორციელეს, რამაც ზარალი მიაყენა პაციენტს. ჩვენ მაშინვე მოვისმინეთ კონკურენციის სააგენტოს განცხადება, მაგრამ ამას არ მოჰყვა შემდგომი მოკვლევა. როგორც მე ვფიქრობ, კონკურენციის სააგენტო მოკვლევას იწყებს მაშინ, როდესაც არის რეალური, დოკუმენტური საბაბი, იმას თავისი კრიტერიუმები აქვს.

გავიდა 2 კვირა, კვლავ შეგვექმნა ახალი რეალობა, როდესაც ჯანდაცვის სამინისტრო აქვეყნებს მონაცემებს ონკოლოგიურ მედიკამენტებზე, დაახლოებით, 7-8 მედიკამენტია, რომელთა ფასი მნიშვნელოვნად არის მომატებული, თებერვალთან შედარებით. ამის შემდეგ, კონკურენციის სააგენტო იწყებს მოკვლევას. ანუ კონკურენციის სააგენტომ ჩათვალა, რომ არის ძალიან მაღალი სოციალური ინტერესი, არის ბრალდებები და მოდით, ეს საკითხი გამოვიკვლიოთ.



მოდით, ვნახოთ, ეს წამლები, რომელიც ახლა გამოქვეყნდა, რა ღირდა შარშან მარტში. ეს საჯარო ინფორმაციაა, ეს მედიკამენტები უფრო მეტი ღირდა, ვიდრე ახლა. ესე იგი, კითხვა ჩნდება აქ, რა მოხდა, დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში, როგორ მოახერხეს კომპანიებმა ფასების დაწევა და რამდენად გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება, რომ ეს მოხდეს?

მე არავის ადვოკატირებას არ ვაპირებ, უბრალოდ, მაშინ ეს არ გაჟღერებულა, რომ კომპანიებმა მნიშვნელოვნად დაწიეს ფასი. როგორც ახლა ზრდა არის, მაშინ ასე იყო კლება.

რამდენიმე კომპანიამაც გააკეთა უკვე განცხადება, რომ ზოგჯერ საუბარია, მოკლევადიან პრეპარატზე, რომელიც რეალურად შეიძლება ნაკლებად გაიყიდოს, ზოგჯერ რაღაც აქციებსაც აკეთებენ.

ახლანდელ ფასებს თუ ავიღებთ, კომპანიებმა ასეთი რამ გააჟღერეს, ჯანდაცვის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო უწყებას, ხელი მიუწვდება იმ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, რასაც ჰქვია შესყიდვის ფასი. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ კოლოსალურ ფასნამატებზე (ამ ფრაზამ გაიჟღერა მთავრობის მხრიდან), მთავრობას აქვთ „ინვოისი“ და აქვთ საბოლოო ფასი. ანუ რა ფასად ყიდულობენ და რა ფასად ყიდიან. ეს ხომ ძალიან მარტივი გასარკვევია?! კითხვა, ფასნამატი არის დიდი? თუ ძალიან დიდი ფასნამატია, აქ რა ხდება, ფასის რეგულაცია ამ მედიკამენტს თუ არ ეხება, მაშინ რაიმე სხვა რეგულაცია უნდა შემოვიღოთ და საუბრობს კიდეც ამაზე სამინისტრო.

მეორე, დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს ის, თუ მოხდა მათი შეთანხმებული ქმედება, ანუ, კომპანიები ერთად შეთანხმდნენ და გამოიყენეს თავისი დომინანტური მდგომარეობა. დომინანტი, საკმაოდ ცუდად ჟღერს, მაგრამ ეს არ არის დარღვევა, ეს არის უბრალოდ ბაზრის წილი, რომელიც არ სცდება დაშვებულ ზღვარს, რასაც ჰქვია უკვე მონოპოლია.

კონკურენციის სააგენტო იწყებს კვლევას, ყველა მივესალმებით ამას, იმიტომ, რომ გამჭვირვალობა არის მთავარი არგუმენტი, რამაც შეიძლება იმუშაოს. დანარჩენი ყველაფერი მხოლოდ სიტყვებია.

პასუხი კითხვებზე, რომ მართლაც ფასნამატი არის თუ არა მაღალი, რეალურად, ფასები დაუბრუნდა 2022 წლის მარტის ფასებს. იმის გათვალისწინებით, რომ ლარი მნიშვნელოვნად გამყარდა. რა მოხდა ამ 3-4 თვეში და შესაძლებელი თუ არა, რომ იგივე მოხდეს კიდევ, ეს კითხვები და პასუხი პირველ რიგში რიტორიკაა... ჩვენ ვერ ვასწავლით ვერც მთავრობას და ვერც სხვა მოთამაშეებს, როგორ ილაპარაკონ, მე უბრალოდ მომხრე ვარ, რომ ეს რიტორიკა მაქსიმალურად შერბილდეს, რადგან ზარალდება ადამიანი, რომელსაც ეს ყველაფერი ესმის, – განაცხადა ირაკლი მარგველაშვილმა.

# სასტუმრო „ამბასადორში“ ხანძრის გაჩენის ფაქტზე დაკავებულს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაენიშნა

პროკურორ ალინა კუკავას განცხადებით, სასტუმრო „ამბასადორში“ ხანძრის გაჩენის ფაქტზე დაკავებულ ანზორ ლომიძის მიმართ დანიშნულია ფსიქიატრიული ექსპერტიზა და ექსპერტი დაადგენს, როგორი იყო მისი ფსიქიკური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის დროს.

როგორც სასამართლოს სხდომის დასრულების შემდეგ პროკურორმა ჟურნალისტებს განუცხადა, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

– სხვა გარემოებას ამ ეტაპზე ვერ მოგახსენებთ. ერთი რამ შემიძლია გითხრათ, ზოგადად, როდესაც ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ პირი დანაშაულის ჩადენის დროს იყო შეურაცხადი, ჩვენი კანონმდებლობით, ამ დროს, სამართლებრივი დევნა წყდება, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირი იძულებით ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების მიზნით კონკრეტული ვადით თავსდება შესაბამის დაწესებულებაში, – განაცხადა ალინა კუკავამ.

„ამბასადორში“ ხანძრის გაჩენის ფაქტზე დაკავებულ ანზორ ლომიძეს, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

28 წლის მამაკაცი სამართალდამცველებმა სასტუმროში ხანძრის გაჩენის ფაქტზე მალევე დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მამაკაცმა, რომელიც სასტუმროში სტუმრად იმყოფებოდა, ხანძარი გააჩინა, რაც სასტუმროს მესამე და მეოთხე სართულზე გავრცელდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას 3-დან 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# სასტიკი ბრძოლებია ავდეევკასთან

ბახმუტის გარდა, სასტიკი ბრძოლებია ავდეევკასთან. რუსებმა ბახმუტიდან ავდეევკისაკენ დიდი ძალები გადაისროლეს. ოკუპანტები ცდილობენ, ავდეევკას ალყა შემოარტყან, მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელია. რუსების მცდელობა, დაამყარონ კონტროლი მარინკაზე, ასევე კრახით დასრულდა. რაც შეეხება უგლედარს, აქ რუსები ისევ შეეცადნენ შეტევაზე გადასვლას.



ოდიოზური რუსი პროპაგანდისტი ოლგა სკობეევა აღიარებს, რომ ახალი შეტევა მომზადებული არ იყო. შედეგად მარცხი განვიცადეთ და უამრავი ჯარისკაციც დავკარგეთ.

– ჯარისკაცების ოჯახებს სამძიმარს ვუცხადებ! ამავე დროს, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი გენერლები ძველი მეთოდებით იბრძვიან, – ამბობს სკობეევა. დონბასისაგან განსხვავებით, უკრაინის სამხრეთში რუსები თავდაცვით ბრძოლებზე გადავიდნენ. უკრაინელი პარტიზანები მტერს მოსვენებას არ აძლევენ არც დღისით და არც ღამით.

– აქ ნამდვილი ჯოჯოხეთია! უკრაინელი ბანდიტები დღისითაც და ღამითაც თავს გვესხმიან! ფრონტის ხაზი, როგორც ასეთი, არ არსებობს! თავდასხმა ყოველი მხრიდან ხდება, – ამბობს რუსი პროპაგანდისტი სოლოვიოვი.

გაბოროტებულმა რუსებმა კვლავ მშვიდობიან მოქალაქეებზე იყარეს ჯავრი. დაიბომბა ქალაქი ზაპოროჟიე. დანგრეულია 100-მდე სახლი. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, მათ შორის მოხუცებში, ქალებში, ბავშვებში.

დაძაბული ვითარებაა ხერსონის ოლქშიც. უკრაინელმა პარტიზანებმა მორიგი ოპერაციები ჩაატარეს ნოვაია კახოვკასთან და სხვა დასახლებულ პუნქტებთან. შედეგად მოკლულია 100 რუსი ოკუპანტი. პასუხად რუსებმა დაბომბეს როგორც ხერსონი, ისე მთელი ოლქი. მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# უკრაინელ სამხედროს რუსეთის მომხრე მღვდლებმა ეკლესიაში სცემეს

კიევო-პეჩორსკის ლავრასთან განვითარებულმა მოვლენებმა მთელი უკრაინა ფეხზე დააყენა. უკრაინული არმიის ჯარისკაცი ანანიევი, რომელიც ომის დაწყებიდან ფრონტზე მოხალისედ წავიდა, ქალაქ ხმელნიცკის წმინდა პოკროვის კათედრალურ ტაძარს ესტუმრა. ანანიევმა პირდაპირ დასვა კითხვა:

– კიდევ რამდენი ადამიანი უნდა მოკვდეს იმისათვის, რომ რუსეთთან კავშირები გავწყვიტოთ?

პასუხად უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოსი) მღვდლები ჯარისკაცს ეძგერნენ, წააქციეს და იქვე ეკლესიაში მხეცურად სცემეს. ამან ქალაქ ხმელნიცკის მოსახლეობა აღაშფოთა:

– ეს პუტინის ძაღლები მთლად თავს გავიდნენ!

ქვებით, ჯოხებით შეიარაღებული ხალხი წმინდა პოკროვის კათედრალური ეკლესიისაკენ დაიძრა. ცრუ მღვდლები ჩაქოლვისაგან მხოლოდ პოლიციამ იხსნა. ფსევდოსასულიერო პირებმა გაქცევით უშველეს თავს. თავად წმინდა პოკროვის კათედრალური ეკლესია კი უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამგებლობაში გადავიდა.

# მამინაცვლისგან გაუპატიურებული 11 წლის უსინათლო ბავშვი და სხვა შემზარავი ამბები

პედოფილები საქართველოში – ყველა მათგანის სახელი და გვარი შინაგან საქმეთა სამინისტრომ იცის. არსებობს სპეციალური ბაზა, რომლის მეშვეობითაც სიცოცხლის ბოლომდე ასეთ ადამიანებს აკონტროლებენ. სამინისტრო ბაზაში ინახავს მსჯავრდებულების პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, ნასამართლობის, დაქტილოსკოპიურ და სხვა მაიდენტიფიცირებელ ცნობებს.

პედოფილია კლასიკური გაგებით მძიმე დარღვევაა, რომელიც ბავშვების მიმართ სექსუალური ლტოლვით ვლინდება. სამწუხაროდ, ეს თემა აქტუალობას არ კარგავს. ტრაგიკული შემთხვევების რიცხვიც განაპირობებს იმას, რომ სიტყვა „პედოფილი“ უკვე უცხო არავისთვისაა.

ერთ-ერთი ბოლო შემზარავი შემთხვევა ოთხშაბათს ქარელში მოხდა. 15 წლის გოგონაზე ძალადობისთვის 63 წლის მამაკაცი დააკავეს. რამდენიმე დღის წინ ალაპარაკდა კიდევ ერთი გოგონა, რომელიც ასევე უფროსი მამაკაცის მხრიდან სექსუალურ ძალადობაზე საუბრობს.

პედოფილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი – მოხუცებული, ახალგაზრდა, მდიდარი, ღარიბი, ინტელექტუალი თუ ნაკლებად ინტელექტუალი. შესაბამისად, მათი ამოცნობა რთულია. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვის დაშინება უფრო მარტივია და მან არ იცის, რა არის სექსუალური ძალადობა, შესაძლოა, ამის შესახებ ვერავის გაუმხილოს. ამიტომ აუცილებელია, მშობლებმა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ, რომ შვილი პედოფილის საფრთხისგან დავიცვათ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 15 წლის გოგონა ერთ-ერთი ბოლო მსხვერპლია. მისი ჩვენება მძიმეა და „კურიერი პიესი“ მხოლოდ ნაწილობრივ ასაჯაროებს. ეს მოზარდზე სავარაუდო ძალადობის პირველი შემთხვევა იყო, რომელსაც მეზობელი ქალი შეესწრო და პოლიციას



აცნობა. სავარაუდო პედოფილი დაკავებულია.

კიდევ ერთი მსხვერპლი გოგონა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ალაპარაკდა, „კურიერი პიესთან“ ინტერვიუში სამწლიან ტრაგედიაზე ყვება. მოძალადე სოციალური ქსელით გაცნობილი 27 წლის კაცია, რომელიც ახლა ბრალდებულის სკამზე ზის.

„კურიერი“ სხვა არაერთ მძიმე ისტორიას ინახავს, სადაც პედოფილების სამიზნე 14 წლამდე ბავშვები არიან.

11 წლის უსინათლო გოგო მამინაცვალს გაუპატიურებაში ადანაშაულებს. ძალადობის არაერთ ფაქტს შეესწრო მსხვერპლის 8 წლის ძმა. მშობელს არცერთი შვილის არ სჯერა.

ხანდახან დედა, ხშირად კი სავარაუდო დამნაშავის ადვოკატები ამბობენ, რომ ბავშვი ცრუ ჩვენებას აძლევს. ასე ამბობს 12 წლის შვილიშვილის 60-ჯერ გაუპატიურებაში მხილებული ბაბუას უფლებების დამცველი.

დაზარალებული მოზარდები განსაკუთრებული სიფრთხილით, ფსიქოლოგების თანდასწრებით იკითხებიან. მუქარის ქვეშ მყოფების ალაპარაკება რთულია, თუმცა მსხვერპლები განცდილსა და ძალადობაზე ძირითადად მხოლოდ სიმართლეს ამბობენ – ასეთია ფსიქოლოგების დასკვნა, რომლებიც პედოფილიის მსხვერპლებთან მუშაობენ.

ექსპერტები პედოფილებს რამდენიმე კატეგორიად ყოფენ. ირკვევა, რომ პოტენციური მსხვერპლის არჩევა ძირითადად საალმზრდელო დაწესებულებებთან ხდება. მოძალადეს ბავშვთან ურთიერთობის დასაწყებად მეთოდებიც აქვს შემუშავებული. დამნაშავეები ყველაზე ხშირად მსხვერპლს ახლო გარემოცვიდან არჩევენ.

მკაცრი მიდგომა და მუდმივი კონტროლი – შინაგან საქმეთა სამინისტრო სქესობრივი დანაშაულის პრევენციის მიზნით მუშაობას აგრძელებს. შექმნილია პედოფილების შავი სია – ბაზა, სადაც გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ ბავშვზე მოძალადე ხვდება. მუდმივ კონტროლთან ერთად, ამ სიაში მყოფებს მუდმივი შეზღუდვები უწესდებათ.

ბაზა აერთიანებს გაუპატიურებისთვის, გარყვნილი ქმედებისთვის, პორნოგრაფიული მასალის დამზადებასა და გასაღებაში არასრულწლოვნის ჩაბმისთვის მსჯავრდებულ პირებს.

საგანმანათლებლო, საალმზრდელო მომსახურების გაწევა, მიმდებარე ტერიტორიაზე 30 მეტრის რადიუსში გადაადგილება, არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრება – ეს იმ აკრძალვების ნაწილია, რომელიც პედოფილებს ბაზაში მოხვედრის შემდეგ ეხებათ.

უმკაცრესი მიდგომა აქვს პროკურატურას – პედოფილებისა და მათი მსხვერპლების საქმეებზე სპეციალურად გადამზადებული პროკურორები მუშაობენ. საგამოძიებო უწყება უფრო ეფექტური გამოძიებისთვის მუშაობას აგრძელებს.

ძალადობა, რომელიც ბავშვის მეხსიერებაში ხშირად ცხოვრების ბოლომდე რჩება, სასჯელის უმაღლეს ზომას, უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

## ლაზარე გრიგორიადისს არ უნდოდა თმის გადაპარსვა და გადაპარსეს



პოლიციელების ჯანმრთელობის ხელყოფისა და სახელმწიფო ქონების განადგურების ფაქტებზე ბრალდებულ ლაზარე გრიგორიადისის ადვოკატ ლიკა ბითაძის განცხადებით, სამართალდამცველები დაკავების დროს აღიარებითი ჩვენების არმიცემის შემთხვევაში მეგობრის დაკავებით დაემუქრნენ.

როგორც ადვოკატმა გრიგორიადისის გლდანის მე-8 პენიტენციურ დაწესებულებაში მონახულების შემდეგ აღნიშნა, დაკავების დროს მისი უფლებები დაირღვა.

– ვესაუბრეთ ლაზარეს და მან თავიდან ბოლომდე ყველაფერი მოგვიყვა. მისი სურვილია, რომ გავაჟღეროთ ყოველივე. ადვოკატის ნაწილში ცალსახად მისი უფლებები დაირღვა. მან განმარტა, რომ იგი ითხოვდა ადვოკატს, მას კი ადვოკატი არ მიუყვანეს. დაკავებისას მას მიაწოდეს მისი ტელეფონი და უთხრეს, რომ დაერეკა ადვოკატისთვის. მან, როცა მისი ტელეფონის კოდი აკრიფა, ტელეფონი ხელიდან გამოგლიჯეს და ადვოკატთან არ დაარეკინეს.

მისი თქმით, სავარაუდოდ მასთან ვინმე დეპარტამენტის უფროსი შევიდა, რომლის სახელი და გვარი არ იცის, უფროსს ჰგავდაო. ის შევიდა მასთან და უთხრა, რომ ადვოკატს არ მოგიყვანთო. ამავე დროს, თუ ის ჩვენებას არ მისცემდა, ეს უნდა ყოფილიყო აღიარებითი ჩვენება, ამ შემთხვევაში მის მეგობარს, გიორგი ჯარიაშვილს დააკავებდნენ.

ამ ეტაპზე ისევ დუმილის უფლებას გამოვიყენებო. აქციაში მონაწილეობას, რა თქმა უნდა, არ უარყოფს. პირველივე სასამართლოზე მივცემ ჩვენებას რა იყო რეალურადო, – განაცხადა ბითაძემ.

ამასთან, ადვოკატის თქმით, ლაზარე გრიგორიადისის ციხეში მისი სურვილის საწინააღმდეგოდ თმა გადაპარსეს.

– ციხის, პენიტენციურის პირობებში არის ნორმალურ პირობებში, როგორც თვითონ განმარტა. უბრალოდ, ერთადერთი შენიშვნა ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ მე არ მინდოდა თმის გადაპარსვა და გადამპარსესო, – აღნიშნა ბითაძემ.

## სამი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

– თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სამი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო, – ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქმე ეხება გასული წლის 24 ივნისს თბილისში მომხდარ ფაქტს.

– სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 24 ივნისს, თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დანით ჭრილობები მიაყენა სამ პირს. დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად დაზარალებულების გადარჩენა მოხერხდა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩამდენი პირი 2022 წლის 25 ივნისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით (მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ორი ან ორზე მეტი პირის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ვინ არის 25 წლის კაცი, რომელიც 13 წლის ბავშვზე სექსუალური ძალადობისთვის კახეთში დააკავეს

კახეთში, ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში, 13 წლის გოგოზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით 25 წლის კაცი დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, მოზარდი ბებიასთან ერთად ცხოვრობდა, იმავე სახლში კი ქირით იყო ოჯახის 25 წლის ნათესავი კაცი, რომელიც არასრულწლოვანზე სისტემატურად ძალადობდა.

მომხდარი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც გოგო გაუჩინარდა, ოჯახმა კი პოლიციას აცნობა. დამატებით დეტალებს შინაგან საქმეთა სამინისტროში ვარკვევთ. პროკურატურამ 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა სხვადასხვა დროს არასრულწლოვან დაზარალებულთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. დაზარალებული 13 წლის გოგოა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 31 მარტს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით (სქესობრივი კავშირის დამყარება წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან (ორი ეპიზოდი)) წარედგინა.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. სისხლის სამართლის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება გრძელდება.

# კალეიდოსკოპი

## ქალმა ქმარი სოციალურ ქსელში მიმდინარე ტრანსლაციის დროს მოკლა



ერთ-ერთი ამერიკული გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალმა ქმარი იმ დროს მოკლა, როდესაც სოციალურ ქსელში ტრანსლაცია მიმდინარეობდა.

28 წლის კადეჯ მიშელ ბრაუნი მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მას შემდეგ გახდა, რაც თავისი მეგობრებისა და ნათესავებისთვის ონლაინტრანსლაცია მოაწყო. ვიდეოში ისმის, თუ როგორ ჩხუბობენ მეუღლეები, შემდეგ კი გასროლის ხმაა. ამის შემდეგ ორი ქალის კივილია, რომლებიც შველას ითხოვენ და ასევე ისმის ბავშვის ტირილი. ამ დროს ბრაუნის ტელეფონის კამერა ზევითაა მიმართული და მასში მხოლოდ ბინის ჭერი მოჩანს.

პოლიციის ვერსიით, მიმდინარე წლის 25 მარტის დილას კადეჟა ბრაუნი პირდაპირ ეთერში შევიდა, შემდეგ კი ტელეფონი დააგდო და თავის ქმართან, 28 წლის ჯერემი როკ ბრაუნთან სიტყვიერ კამათში ჩაერთო. ცოლ-ქმარს შორის დაწყებული კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. როდესაც მამაკაცმა სახლიდან გასვლა დააპირა, ქალმა მას პისტოლეტიდან ესროლა. კაცი ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობით ადგილზევე გარდაიცვალა.

პოლიციელებმა შემთხვევის ადგილზე იპოვეს პისტოლეტი, რომლიდანაც განხორციელდა გასროლა და ასევე – სხვადასხვა მტკიცებულება. ამ დროისთვის ქალი დაპატიმრებულია.

## ავარიაში მოყოლილი ქალი მეუღლის აჩრდილმა გადაარჩინა



74 წლის ბრიტანელი ქალი კეროლ ეტლი ამტკიცებს, რომ მეუღლის მოჩვენების წყალობით გადარჩა, რომელიც თითქოსდა მას შემდეგ გამოეცხადა, რაც ავტობუსი დაეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევა 2022 წლის 28 ივლისს მოხდა. ქალმა უამრავი დაზიანება მიიღო, მათ შორის – თვალის ბუდის, ცხვირისა და სამი ნეკნის მოტეხილობა. გარდა ამისა, მას ტვინში სისხლჩაქცევაც დაემართა.

დაშავებული ქალის დაუყოვნებლივ საავადმყოფოში იქნა მოთავსებული და ის ხელოვნურ კომურ მდგომარეობაში გადაიყვანეს.

– მან შვიდი კვირა – რეანიმაციაში, ხოლო ორი კვირა ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში გაატარა, – განაცხადა მისმა ქალიშვილმა, – ამ დროის განმავლობაში მე მინიმუმ ოთხი მეტად მძიმე საუბარი მქონდა ექიმებთან. ისინი მეუბნებოდნენ, რომ დედა ვერ გადარჩებოდა.

ეტლი მიიჩნევს, რომ ამქვეყნად თავისი გარდაცვლილი მეუღლის წყალობით დაბრუნდა, რომელიც მას კომაში ყოფნის დროს გამოეცხადა. მისი თქმით, ის თითქოსდა გონს მოვიდა და თავის გვერდით გარდაცვლილი მეუღლე დაინახა.

– მან მითხრა: იქ, ზეცაში, შენი ადგილი არ არის. ჩვენ არ გვსურს, რომ შენ სადმე სხვაგან აღმოჩნდე. თავი ხელში აიყვანე, იბრძოლე და აქაურობა დატოვე, – განაცხადა ქალმა.

ქალი საკუთარ სახლში უკვე ოქტომბერში დაბრუნდა, ხოლო კიდევ ცხრა კვირის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელდა.

## მძარცველებმა სახლის პატრონს ვეფხვი მოჰპარეს



მექსიკაში მძარცველებმა სახლის პატრონს ბენგალური ვეფხვი მოჰპარეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საერთაშორისო სააგენტო ავრცელებს.

მექსიკის შტატ სონორაში პოლიცია შეუდგა მოზრდილი ბენგალური ვეფხვის, სახელად ბალუმას, ძებნას, რომელიც მძარცველებმა მოიტაცეს. გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ხუთი წლის ხვადი მტაცებელი ცხოველი შტატის დედაქალაქ ხერმოსილოში მდებარე სახლიდან მოიპარეს.

მის პატრონებს ხელთ ჰქონდათ იმის დამადასტურებელი ყველა საბუთი, რომ მათ გარეული ცხოველის ყოლის უფლება გააჩნდათ. გამომძიებლებმა გატაცებული ვეფხვის ფოტოსურათები გაავრცელეს იმ იმედით, რომ მოქალაქეები აცნობებენ, თუ გატაცებულ ცხოველს შენიშნავენ.

## 12 წლის მკვლელი პიცერიის ქვითრის წყალობით იპოვეს



აშშ-ში პოლიციელებმა დააპატიმრეს 12 წლის ბიჭი, რომელმაც, გამოძიების ვერსიით, მკვლელობა გაძარცვის მიზნით ჩაიდინა.

სკოლის მოსწავლეზე ეჭვი მას შემდეგ მიიტანეს, რაც პოლიციელებმა პიცერიის ქვითრის შემოწმება გადაწყვიტეს, რომელიც 34 წლის ბრენდონ ფელტონის ცხედრის გვერდით დაგდებული ნახეს.

მამაკაცი მოკლული უისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკიში მდებარე საკუთარ სახლში 15 მარტს ნახეს. ქვითარზე მითითებული იყო კლიენტის ვინაობა, მისი მობილური ტელეფონის ნომერი და ის დაღუპულ მამაკაცს არ ეკუთვნოდა.

როდესაც გამომძიებლებმა ტელეფონის ნომერი აკრიფეს, მათ ბავშვმა უპასუხა. ბიჭი მოკლულის სახლში ყოფნას უარყოფდა და, შესაბამისად, აცხადებდა, რომ მომხდართან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. თუმცა მოგვიანებით ბიჭის დედამ ის თავად მიიყვანა პოლიციაში და განაცხადა, რომ მისმა შვილმა სამართალდამცავების წინაშე იცრუა.

შემოწმებამ აჩვენა, რომ პიცერიაში ზარი შეკვეთის მისაცემად ფელტონის ბინიდან განხორციელდა. მალე გაირკვა, რომ მკვლელი სწორედ 12 წლის ბიჭი იყო. ის დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღეში დააპატიმრეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბიჭმა ფელტონის გაძარცვა და მისი ბინიდან იარაღის წაღება განიზრახა. ამის შესახებ ის დანაშაულის ჩადენამდე ერთი კვირით ადრე ესაუბრა თავის მეგობარს. მკვლელობის მოტივი ის ფაქტი გახდა, რომ ფელტონმა მას იარაღის მიყიდვაზე უარი განუცხადა. დანაშაულის ადგილიდან ახლობელს ის სწერს: „ის დივანზე წევს. ასე რომ, ახლავე შემიძლია მისი გასაღება“.

მოზარდი დამნაშავე პირველად სასამართლოს წინაშე 27 მარტს წარდგა. მას თანამზრახველთან ერთად განზრახ მკვლელობის ბრალდება წაუყენეს და გირაოს სახით 100 ათასი დოლარის გადახდა დააკისრეს. მიუხედავად არასრულწლოვანი ასაკისა, დამნაშავეს გაასამართლებენ, როგორც ზრდასრულ ადამიანს. ამ დროისთვის პოლიცია აღნიშნულ საქმეზე სხვა ეჭვმიტანილების ძებნითაა დაკავებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# პაშკა-მერსედესი შინაპატიმრობაში აიყვანეს



კიევო-პეჩორსკის ლავრასთან რუსული შოუ გრძელდება. მიტროპოლიტმა პავლომ ამბიონიდან მორწმუნეებს პათეტიკური სიტყვებით მიმართა:

– ხალხნო! კიევო-პეჩორსკის ლავრას ეშმაკები ეპატრონებიან! მოგიწოდებთ, ქუდზე კაცი გამოდით და ქრისტიანული რწმენა დაიცავით!

მიტროპოლიტს მხოლოდ ასიოდე დედაბერმა და კიდევ რამდენიმე ხანშიშესულმა მამაკაცმა დაუჭირა მხარი. ისინი ლავრაში გამაგრდნენ და ბარიკადების აგება ცადეს. შემთხვევის ადგილას უმალ გაჩნდა ტელეკომპანია მეხუთე არხი. მან დაიწყო მომხდარის გადაღება ფირზე. ამის შემდეგ დაირხა ხმა:

– ლავრისაკენ შეიარაღებული ბანდერელები მოემართებიან!

მიტროპოლიტის მხარდამჭერმა მორწმუნეებმა ბარიკადების აგება შეწყვიტეს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბანდერელთა ნაცვლად ლავრაში უიარაღო პოლიციელები მივიდნენ. მათ უნდა გადაეცათ მიტროპოლიტისათვის სასამართლოში გამოცხადების უწყება. „მორწმუნეთა“ ნაწილი ლავრიდან გაიპარა. პოლიციელებმა მიტროპოლიტი პავლო მოიკითხეს. გადამალული მღვდელმთავარი ვილაცამ ძლივს იპოვა.

ლავრაში დარჩენილმა მისი მომხრეების ნაწილმა ლოცვის ხმამაღალი სიმღერა დაიწყო. ისინი რუსულ ენაზე მღეროდნენ. მიტროპოლიტმა პოლიციელებს უწყება გამოართვა. ის ახლა უკვე არ იმუქრებოდა და აღარც იწყევლებოდა. სახე გაჰფითრებოდა. მიტროპოლიტი მიხვდა, რომ კიეველთა უმრავლესობას ის სძულდა. მის დასაცავად, რამდენიმე ასეული სკლეროზიანი დედაბრისა და ნახევარსქესიანი მამაკაცების გარდა, ხმას არავინ ამოიღებდა.

სასამართლომ მიტროპოლიტს 60-დღიანი შინაპატიმრობა მიუსაჯა. მას ფეხზე სამაჯური გაუკეთეს. პავლომ წაილუღლუღა:

– ვენები დამისივდა, მაქვს დიაბეტი. გთხოვთ, ფრთხილად!

კიეველებმა მიტროპოლიტ პავლოს დასაცავად ხმა არ ამოიღეს. მეტიც, ლავრიდან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოსი) გასახლებას მოსახლეობის 87% უჭერს მხარს. ასეთია როზუმკოვის სახელობის ცენტრის მონაცემები. მიტროპოლიტი პავლო კი ფრიად ოდიოზური პიროვნებაა.

ქალების გარდა, პავლოს ძვირფასი მანქანებიც უყვარს. ამიტომაც შეარქვეს მას პაშა მერსედესი.

პავლოსადმი სიძულვილი მხოლოდ ამან როდი განაპირობა. მიტროპოლიტი ამბიონიდან რუსეთის მიერ ჯერ ყირიმის, შემდეგ ხერსონის ოკუპაციას მიესალმა:

– ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მართლმადიდებელი ძმები გონს მოეგნენ! ყირიმს, დონბასსა და ხერსონს კიევის გათავისუფლებაც მოჰყვება! მალე უკრაინის დედაქალაქზე რუსული დროშა აღიმართება!

დღეს კიეველები საყვედურობენ ზელენსკის, რომ ამ სიტყვებისათვის „მიტროპოლიტმა“ პასუხი არ აგო. ის კვლავაც კიევო-პეჩორსკის ლავრის წინამძღვრად რჩებოდა და ლავრაში წირავდა. უკრაინელი პატრიოტები მას ხშირად აკითხავდნენ და ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. ამან პავლოს შემართება ერთგვარად დააცხრო. ის აღარ მოუწოდებდა მრევლს შეიარაღებული აჯანყებისაკენ, თუმცა თავის ქადაგებებში აშკარად პრორუსულ პოზიციას აფიქსირებდა.

ზელენსკის მთავრობამ კიევო-პეჩორსკის ლავრის ეშმაკის მსახურთაგან გათავისუფლება დაიწყო. მიტროპოლიტის ანაფორაში გადაცმული რუსი ჩეკისტი კი შინაპატიმრობაშია. მიუხედავად ამისა, ლავრასთან პავლოს მომხრე მცირერიცხოვანი ბრბო მაინც რჩება. ისინი რუსულ ენაზე მღერიან ფსალმუნებს, ცეკვავენ და უკრაინულ სახელმწიფოს, მთელ უკრაინელ ხალხს წყევლა-კრულვას უთვლიან. რუსული ცირკი ჯერჯერობით გრძელდება.

# ბაიდენს იარაღით ვაჭრობის შეზღუდვა სურს

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ იარაღით ვაჭრობა კონტროლს უნდა დაექვემდებაროს. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამ კანონპროექტს მალე კონგრესში წარადგენენ.

– სხვაგვარად ვერ მოვერევით იმ ძალადობის ტალღას, რომელმაც ქვეყანა წალეკა, – თქვა ბაიდენმა.

# პეტერბურგში დონბასელი სეპარატისტი მოკლეს

პეტერბურგში სტრიპტიზ ბარის ტერიტორიაზე აფეთქება მოხდა. შედეგად დაიღუპა დონბასელ სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერი ვლადლენ ტატარსკი. რამდენიმე მოქალაქე დაშავდა.

ტატარსკი ფრიად ოდიოზური პიროვნება იყო. მან უკრაინის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები გაამართლა. ტატარსკი ხმამაღლა აცხადებდა:

– რუსეთი მთელ მსოფლიოს დედას ....! ვისაც საჭიროა, მოვკლავთ, ზოგს ჩამოვახრჩობთ ან გავძარცვავთ!

ტატარსკის საკადრისი მიეზღო.

# დანაკარგები რუს ოკუპანტებს შორის

უკრაინის გენშტაბის ცნობით, რუს ოკუპანტებს შორის შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 3.619; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 6.993; არტილერია – 2.694; თვითმფრინავები – 306; განადგურებულია 175.160 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი



# კარლოს III-მ სახლში დაბრუნებულ პრინც ჰარისთან შეხვედრაზე უარი განაცხადა

სასამართლო პროცესის გამო დიდ ბრიტანეთში დაბრუნებული პრინცი ჰარი მეფე კარლოს III-სა და სამეფო ოჯახის სხვა წევრებს არ შეხვდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდი ბრიტანეთის მეფემ თავის უმცროს შვილთან მისი ლონდონში ვიზიტის დროს შეხვედრაზე უარი განაცხადა.

პრინც ჰარისთან დაახლოებულმა ინფორმირებულმა წყარომ განაცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნების წინ პრინცი მამას დაუკავშირდა და აცნობა, რომ სახლში ბრუნდებოდა. წყაროს მტკიცებით, ამაზე თითქოსდა მეფემ უარით უპასუხა და უთხრა, რომ ამ დროს ის საქმით იქნებოდა დაკავებული.

დიდ ბრიტანეთში ჰარის ჩასვლის მომენტისთვის კარლოს III ჰაიგროუვში, გლოსტერში მდებარე საკუთარ რეზიდენციაში მუშაობდა, შემდეგ კი მეუღლესთან ერთად მონარქის რანგში თავისი პირველი ვიზიტით სამი დღით გერმანიაში გაემგზავრა. ამავე დროს, ჰარის უფროსი ძმა, პრინცი უილიამი, ოჯახთან ერთად შვებულებაში იმყოფება. მის შვილებს ახლახან სააღდგომო არდადეგები დაეწყოთ.

უცნობია, თუ სად გაჩერდა პრინცი უილიამი დიდ ბრიტანეთში. ქვეყნის დატოვებამდე ის და მისი მეუღლე მეგან მარკლი უინძორის სასახლის ტერიტორიაზე მდებარე ფროგმორის კოტეჯში ცხოვრობდნენ, თუმცა 2023 წლის იანვარში ცნობილი გახდა, რომ წყვილს რეზიდენციის გათავისუფლების მითითება ჰქონდათ მიღებული. ასევე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული რეზიდენცია პრინცესა ევგენიას აქვს დაკავებული.

# მეთევზე ზვიგენის თავდასხმის შემდეგ დახმარებას სამი საათი კუნძულზე ელოდა



ავსტრალიის კუნძულ მონტებელოს მახლობლად ზვიგენმა ორჯერ უკბინა მეთევზე ადამ ნორტონს, რის შედეგადაც მას ფეხზე სერიოზული ჭრილობები მიაყენა.

მტაცებელი თევზი მეთევზეს თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ნორტონმა თავისი კატერი თევზაობის დასრულების შემდეგ ნაპირთან მიაყენა, შემდეგ კი წყალში გადახტა და ხმელეთისკენ გაემართა. სწორედ ამ დროს ზვიგენმა მას ფეხზე, მუხლს ქვემოთ უკბინა.

– მისი თავდასხმა მოვიგერიე და ნაპირისკენ გავემართე, მაგრამ ის გამომეკიდა და კბილებით ფეხში ისევ ჩამაფრინდა, – იხსენებს მეთევზე.

მამაკაცმა, რომელსაც ფეხიდან სისხლი სდიოდა, ხმელეთზე გაღწევა მოახერხა. მას პირველადი დახმარება ძმამ და მეგობრებმა აღმოუჩინეს და სისხლდენის შეჩერება შეძლეს, თუმცა კუნძულიდან გაღწევა კიდევ სამი საათის განმავლობაში ვერ მოახერხეს, ვინაიდან ზვიგენი კუნძულის სანაპიროს არ შორდებოდა.

ბოლოს მამაკაცმა მცურავი დიდი გემი შენიშნა და მისი მგზავრების ყურადღების მიპყრობა მოახერხა. დაშავებული მეთევზე – სხვა კუნძულზე, იქიდან კი შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სპორტი

# ქართველი კალათბურთელები ამერიკაში იგებენ, ევროპაში აგებენ



გოგა ბითაძის ორლანდომ დეტროიტს დამაჯერებლად – 128:102 სძლია, რაშიც ქართველმა კალათბურთელმა საკუთარი წვლილი შეიტანა. გოგა სათადარიგო იყო და პარკეტზე 17:51 წუთი გაატარა, რა დროშიც 13 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება დააგროვა.

ჩვენებურმა 5-დან 5 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ერთხელ კი სამქულიანი უშედეგოდ ისროლა.

ქართველმა ცენტრმა ჩხუბიც მოასწრო: ერთ-ერთი ეპიზოდში ჯალენ დარენთან იკამათა, მაგრამ ისინი სხვებმა მალევე გააშველეს. ალბათ მეტსაც ითამაშებდა, მაგრამ 6 პერსონალური ჯარიმის აღება მოასწრო და მოედანი ვადაზე ადრე დატოვა.

ფლორიდელებს 34 გამარჯვების წილ 44 მარცხი გააჩნიათ და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-12 ადგილზე არიან. მეჯიქი მომდევნო შეხვედრას შინ 5 აპრილს კლივლენდ კავალიერსთან ჩაატარებს.

სანდრო მამუკელაშვილის სან ანტონიომ კი 20 მარტის შემდეგ პირველად მოიგო. გრეგ პოპოვიჩის გუნდმა სტუმრად საკრამენტო კინგსს ოვერტაიმში აჯობა – 142:134 მოიგო.

სანდრომ პარკეტზე გატარებულ 16:43 წუთში 6 ქულა, 5 მოხსნა, თითო პასი და ჩაჭრა დააგროვა. მან 4-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ერთხელ კი სამქულიანი ააცილა.

სან ანტონიო სპურსი 20 მოგებითა და 58 წაგებით დასავლეთ კონფერენციაში ბოლოსწინა, მე-14 ადგილზეა, ხოლო 5 აპრილს გასვლაზე ფინიქსს სანსს ეთამაშება. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა თორნიკე შენგელიამ იტალიის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში მეორე ორმაგი დუბლი შეასრულა – ტრიესტესთან სტუმრად გამართულ მატჩში 18 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა, მისი ბოლონია კი ბრძოლაში დამარცხდა – 78:80.

თორნიკეს სრული სტატისტიკა ასეთი იყო: 32 წუთი, 18 ქულა (13-დან 7 ორქულიანი, 5-დან 4 საჯარიმო), 10 მოხსნა, 4 პასი. მარგი ქმედების კოეფიციენტი – 27.

ვირტუსს სერია ა-ში 24 მატჩში 19 მოგება აქვს და პირველ ადგილზეა.

გიორგი შერმადინის ტენერიფე ესპანეთის ჩემპიონატის საშინაო მატჩში ძალიან ახლოს იყო ბარსელონის დამარცხებასთან. კუნძულელებმა უმთავრესად გიორგისა და მარსელინიო უერტასის კარგი თამაშის წყალობით მიაღწიეს იმას, რომ ბარსას გამარჯვება ბოლო წამებამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. თუმცა, გადამწყვეტ მომენტში კატალონიელებმა მეტი სიზუსტე გამოიჩინეს და 79:76 გაიმარჯვეს.

გიორგი შერმადინმა 24 წუთში 16 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა, ხოლო უერტასმა 26 წუთში 20 ქულას 8 პასი მიამატა. საბოლოოდ, ტენერიფეს ვებგვერდმა მატჩის საუკეთესო კალათბურთელადაც უერტასი დაასახელა.

ტენერიფეს 25 ტურის შემდეგ 18 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# სოლიდური თანხის მომგებ ქალს ბილეთის შემოწმება დაავიწყდა



ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებ 64 წლის ქალს, რომელმაც ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი მოხსნა, თავისი ბილეთის შემოწმება კინაღამ დაავიწყდა.

ლატარიის გათამაშების გამარჯვებულმა ბილეთი სუპერმარკეტში შეიძინა. ქალის თქმით, ის რეგულარულად ყიდულობს ლატარიის ბილეთებს და მათ ყოველ დილით ამოწმებს, თუმცა ამჯერად ამის გაკეთება რამდენიმე დღით გადაავიწყდა. ქალს მხოლოდ მაღაზიაში გაახსენდა, რომ ბილეთი არ ჰქონდა შემოწმებული. მან ლატარიის ბილეთების გასაყიდი ავტომატით ისარგებლა და მის ეკრანზე ამოიკითხა შეტყობინება, რომ ლატარიის ოფისისთვის მიემართა. ქალი მიხვდა, რომ მსხვილი თანხა მოიგო და მაშინვე დაქალს დაურეკა, რათა ეს სასიხარულო ინფორმაცია მისთვის გაეზიარებინა. მისმა მოგებამ 327,9 ათასი დოლარი შეადგინა. ლატარიის გათამაშების გამარჯვებულის თქმით, ის მოგებული თანხის ინვესტირებას აპირებს.

– ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამითავისებია, რომ გავიმარჯვე, თუმცა ახლა, როდესაც აქ ვიმყოფები და ჩემს მოგებას ვილებ, ეს ყველაფერი უფრო რეალური ჩანს, – განაცხადა ქალმა ლატარიის ოფისში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## საზოგადოება

# ბექა ქურხული პრემია „საბამ“ კონკურსიდან მოხსნა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ახლა კი სერიოზულად!... მესმის!... მართლა... ეს გადაწყვეტილება გაცილებით გასაგებია, როდესაც განაწყენებული, დამცირებული და შეურაცხყოფილი „საბას“ ორგკომიტეტი ბოიკოტს მიცხადებს და ამას სრულიად გულწრფელად, ყოველგვარი ირონიის და ცინიზმის გარეშე მოგახსენებთ!...

ყოველ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება გაცილებით გასაგებია და მისაღებია ჩემთვის (სხვათა შორის, წელს მე არ წარმიდგენია, გამომცემლობამ წარადგინა ეს წიგნი, ოღონდ, რა თქმა უნდა, ჩემი თანხმობით), ვიდრე წინა წლების გადაწყვეტილებები და არც ეს კონფლიქტი დაწყებულა 2021 წელს. ჩვენ შორის გაუგებრობა დაწყენა ჯერ კიდევ წლების წინ, 2018 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც ლიტერატურის ისეთმა მეტრებმა, როგორებიც განსვენებული დავით წერედიანი, მანანა ღარიბაშვილი, ლევან ბრეგაძე, ირაკლი ლომოური და ნინო სადღობელაშვილი არიან, პატივი დამდეს და ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ გადმომცეს, ერთ თვეში კი „საბამ“, გახსოვთ ალბათ, ის განთქმული „ორკაციანი შორთლისტი“ დადო ფრანკფურტის ფესტივალის წინ.

ასე რომ, ამ დაძაბულობას კაი ისტორია აქვს და მაინცდამაინც იმ წელს არ გადავრეულვარ. ალბათ ოდესმე მოვყვები ამ ამბებს, ახლა კი მეზარება, მეტიც, ძალიან არიფულად მეჩვენება ამეებზე გამოკიდება და ჩვენი შიდა სამზარეულოს გარჩევის აქ გამოფენა, როდესაც მესამე მსოფლიო ომია უკრაინაში. სწორედ გუშინ ჩამიყარეს მეგობრებმა კიევის დაბომბვის კადრები და შიგნით კიდევ „ქოცების“ სამარცხვინო რეჟიმთან გვაქვს საბრძოლველი და გარწმუნებთ, არც მე მითარეშია ლვოვიდან ზაპოროჟიემდე, როცა „უკრაინული დღეები“ იწერებოდა და არ შემიშვერია თავი რუსული ჭურვებისა და რაკეტებისთვის ამ თქვენი „საბასთვის“! აი, არც გამხსენებიხართ, მე ვიყო ყველა ფორმაციის ქართველი პოლიტიკოსი ერთად...

მეტიც, არ მინდა, კიდევ ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ, გარწმუნებთ, შინ და გარეთ გაცილებით მეტი პრობლემები გვაქვს მეც და ამ ქვეყანასაც, ვიდრე ეს ყველაფერია!.. აქ არ იწყება და არც დამთავრდება ქართული ლიტერატურა, ამ არცთუ ისე ლამაზი ამბებით, ქალბატონებო და ბატონებო. როგორც ვატყობ, გაცილებით სერიოზული ჩხუბი, ბრძოლა და გამოწვევები გველის წინ...

აქვე არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ჩემთვის პატივი იყო ამ წლებში ლიტერატურული პრემია „საბას“ 4-გზის ნომინანტობაც და ლაურეატობაც, თუმცა, არც იმას დავმალავ, რომ ახლა, ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე, ყველაზე ნაკლებად ლიტერატურული პრემიები მაინტერესებს და მათ შორის ლიტერატურული პრემია „საბა“ და მისი მესვეურები სულ ბოლო ადგილზე არიან! საკმაოდ მაქვს ლიტერატურული ჯილდოები, საკმარისზე მეტიც, ისე რომ, შემიძლია, სხვებსაც გადავუნაწილო ან მსურველებს უკანაც დავუბრუნო თავისი ფულადი პრემიიანად! (4000 – ოთხი ათასი ლარი).

ამით ჩემსა და „საბას“ შორის კონფლიქტს ჩემი მხრიდან ამოწურულად ვთვლი! ვიმეორებ, გაცილებით მეტი და სერიოზული საომარი მაქვს მეც და, ვფიქრობ, თქვენც. ასე რომ, წარმატებებს გისურვებთ და ჩემი მხრიდანაც მოგიკითხავთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა


# განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამოები წყვილად იგებენ



დასრულდა ეროვნული ლიგის მეექვსე ტური. ორი მატჩი იყო დარჩენილი და ორივე ლიდერმა, ორივე დინამომ მოიგო.

**შუქურა-დინამო (თბ) 1:2**

**ანგისა. ჯონი ბაკურიძე**

1:0 აფხაზავა (2), 1:1 კობოური (33), 1:2 მარუშიჩი (90)

**შუქურა:** კულუა, ჩაჩუა, ასათიანი, ლ.ქურდაძე, კუროკი, დუმბია, ანდრონიკაშვილი (ჩაკვეტაძე 90), ჯანელიძე, ს.გელაშვილი (ც.ფაცაცია 46), სარდალიშვილი (გაზდელიანი 77), აფხაზავა (მუჯირი 66)

**დინამო:** კერესელიძე, მალი, ნზაბა, ტაბიძე, კობოური (ლაკვეხელიანი 46), ხარაიშვილი (მარუშიჩი 66), მოისწრაფიშვილი (იმრანი 56), ოსეი (სიგუა 56), ვაგნერი (თ.კირკიტაძე 56), კამარა, სხირტლაძე

დინამო თბილისმა ბოლო წამებზე გატანილი გოლით მოუგო ქობულეთის შუქურას და ლიდერობა შეინარჩუნა.

არადა, თავიდან შუქურა დაწინაურდა – გია აფხაზავამ დინამოელთა მეკარეს შეცდომა არ აპატია და ახლო მანძილიდან გაიტანა.

დინამოელებმა პირველივე ტაიმში გაათანაბრეს – მორიგი სტანდარტული სიტუაციისას დავით კობოურმა თავით კარგად ითამაშა და 1:1.

ამის შემდეგ ორივე გუნდს ჰქონდა მომენტები, საბოლოოდ, კი მოქმედმა ჩემპიონმა მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მეხუთე წუთზე გაიტანა: გაბრიელ სიგუას გამჭოლი პასი ზორან მარუშიჩმა „ჩაკეტა" – 1:2.

საინტერესოა, რომ შუქურას მონაწილეობით თითქმის სულ ეს ანგარიში ფიქსირდება. მხოლოდ ერთხელ იყო გამონაკლისი, როცა დილასთან 0:2 წააგეს. ქობულეთელები ბოლოსწინა ადგილზე არიან.

**დინამო (ბთ)-სამგურალი 2:0**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 ღუდუშაური (7), 2:0 ალთუნაშვილი (24)

**დინამო:** ჩიჩკანი, მამუჩაშვილი, კობახიძე, ბალიჩი, ბაგრატიონი, ტეიდი, ალთუნაშვილი (ლიტვინენკო 84), ზარია (ბიძინაშვილი 62), ღუდუშაური (ჩაბრაძე 77), კვერნაძე (ფლამარიონი 46), კონატე (თ.კაპანაძე 62)

**სამგურალი:** შოვნაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მაისაშვილი, ბული, მ.ბაშელეიშვილი (ლ.ხორხელი 60), არტური, კაგაიამა (გომესი 77), ჯეფინიო (ჩიხლაძე 77), კალანდარიშვილი (ნ.ხორხელი 46), ჩიხრაძე (ნიქაბაძე 46)

ბათუმელებმა ორი ლამაზი გოლით სძლიეს წყალტუბოს სამგურალს.

24 წუთში უკვე 2:0 იყო: ჯერ პაატა ღუდუშაურმა გაიტანა შორიდან დარტყმით, მერე – სანდრო ალთუნაშვილმა.

დინამო ბათუმს 16 ქულა აქვს და ბურთების შეფარდებით ჩამორჩება დინამო თბილისს. სამგურალი კი 7 ქულით მეექვსე ადგილზეა. ბოლო სამ ტურში წყალტუბოელებს გოლი არ გაუტანიათ, თუმცა, ისიცაა, რომ პირველი სამეულის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 6 | 5 | 1 | 0 | 17-7 | 16 |
| 2.დინამო (ბთ) | 6 | 5 | 1 | 0 | 15-6 | 16 |
| 3.ტორპედო | 6 | 3 | 3 | 0 | 7-2 | 12 |
| 4.საბურთალო | 6 | 2 | 3 | 1 | 9-7 | 9 |
| 5.დილა | 6 | 2 | 3 | 1 | 5-3 | 9 |
| 6.სამგურალი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 7.თელავი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-7 | 5 |
| 8.სამტრედია | 6 | 1 | 1 | 4 | 6-13 | 4 |
| 9.შუქურა | 6 | 1 | 0 | 5 | 6-11 | 3 |
| 10.გაგრა | 6 | 0 | 1 | 5 | 8-19 | 1 |

# დიდი 10-ის ფლეი ოფის ყველა მონაწილე გაირკვა



დიდი 10-ის რეგულარული სეზონი დასრულდა. ჩემპიონის გამოსავლენად ფლეი ოფის 6 მატჩიღა დარჩა. კიდევ ორი თამაში დიდი 10-ის მომავალი სეზონის მონაწილეს გამოავლენს. უძლიერესთა შორის დარჩენისთვის მეცხრეადგილოსანი თბილისის აკადემია პირველი ლიგის მეორეადგილოსანთან იბრძოლებს.

„მხატვრების" მომავალი მეტოქე 5– 7 მაისს გამოვლინდება, დიდი 10-ის ფლეი ოფები კი 20-21 და 27-28 მაისს გაიმართება.

**ლოკომოტივი-აკადემია 10:63**

აკადემიას ჰქონდა შანსი, რომ დიდ 10-ში ადგილი პირდაპირი წესით შეენარჩუნებინა და ამისათვის დასკვნით ტურში ლოკომოტივი ბონუსით უნდა დაემარცხებინა. ამოცანა წარმატებით შესრულდა. სტუმრებმა უკვე დაქვეითებულ „რკინიგზელებს" 9 გარდასახული ლელო გაუტანეს და 63:10 გაიმარჯვეს. მიხეილ ახობაძემ და ლაშა შალიკაშვილმა – ორ-ორი, კოტე ნახუცრიშვილმა, საბა დათიაშვილმა, ბექა სამსიანმა, ლუკა კეკელიამ და კოტე იაშვილმა თითო-თითო ლელო მიითვალეს, ხოლო სანდრო მარგიანმა ყველა გარდასახა. პირველი ტაიმის მიწურულს და მეორეს დასაწყისში ლოკომოტივის მხრიდან ლელოები ტალატალა ტოკაიმბაიმ და ვანო გელაშვილმა გაიტანეს.

**ხვამლი-აია 18:17**

ასცდებოდა თუ ვერა გადათამაშებას აკადემია, ხვამლისა და ქუთაისის აიას მატჩში ირკვეოდა. მოგება ორივე გუნდს სჭირდებოდა. ქუთაისელებს გამარჯვებით მეორე ადგილის დაკავებისა და, შესაბამისად, პირდაპირ შესარჩევი ფინალის საგზურის მოპოვების შანსი ჰქონდათ. ხვამლს 1 ქულაც ჰყოფნიდა, მაგრამ მას სხვა მიზანიც ჰქონდა.

მატჩის მიმდინარეობა რამდენჯერმე შეიცვალა. საბოლოოდ, ხვამლმა 18:17 იმარჯვა. შედეგად, სეზონი მე-8 ადგილზე დაასრულეს. აიამ ნუგეშის ქულა აიღო, ჯამში 53 ქულით მე-3 ადგილს ვერ ასცდა და ფლეი ოფის პირველ ეტაპზე ითამაშებს.

ხვამლმა აიას 6-მატჩიანი გამარჯვებების სერია შეწყვიტა და „სარბიელის სინი" ჩამოართვა. ხვამლს წელს თამაში აღარ უწევს და ჯილდოც ახალი სეზონის დაწყებამდე ჩაიბარა.

**ყაზბეგი-ხარები 12:33**

მეორე ადგილი რუსთავის ხარებს ერგო, რომელმაც აიას წაფორხილებით ისარგებლა, სტეფანწმინდის ყაზბეგს ორის წილ ხუთი ლელო გაუტანა და ბონუსით, 33:12 გაიმარჯვა. თავიდან ირაკლი ქვათაძემ და ნიკა ლომიძემ (გიორგი პეტრიაშვილმა ერთი გარდასახა) რუსთაველებს 12-ქულიანი უპირატესობა მოუპოვეს, მაგრამ ტაიმის ბოლოს ნოშრე ფაფიაშვილმა და გუგუა ხულელიძემ (ოთარ ტალახაძემაც ერთი გარდასახა) წონასწორობა აღადგინეს – 12:12.

მეორე ტაიმი კი სრულიად სტუმრების იყო. რუსთაველებმა 21 უპასუხო ქულა აიღეს. შედეგად, ხარებს 57 ქულა მოუგროვდა და მეორე ადგილზე გავიდა, ყაზბეგი კი 40 ქულით ექვსეულს მიღმა დარჩა.

**არესი-ლელო სარასენსი 22:24**

არესი „აია არენაზე" ლიდერ თბილისის ლელო სარასენსს დაუხვდა, რომელსაც პირველი ადგილი გარანტირებული ჰქონდა და უმოტივაციოდ იყო, თუმცა ფაერ ფლეის წესები დაიცვეს, ბოლომდე ითამაშეს და მასპინძლები დაამარცხეს.

თუმცა არესის საქმე რუსთავის ხარებს ჰქონდა გაკეთებული, რომელმაც რიონისპირელთა უშუალო კონკურენტი ყაზბეგი დაამარცხა და ამით არესს ფლეი ოფისკენ გზა გაეხსნა.

ლელომ სეზონი 62 ქულით დაასრულა.

**ბათუმი-ყოჩები 41:17**

„ბათუმი არენაზე" გამართული მატჩიც ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო. მასპინძლები მოგებით მე-4 ადგილსა და ფლეი ოფის პირველ ეტაპზე შინ თამაშის უფლებას იღებდნენ. თუ არესი და ყაზბეგი თამაშებს მოიგებდნენ, ყოჩები ექვსეულს მიღმა რჩებოდა.

მასპინძლებმა იოლად იმარჯვეს. მიუხედავად მარცხისა, ყოჩებს 42 ქულა მე-5 ადგილის შესანარჩუნებლად ეყო, ბათუმმა კი მე-4 ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ფლეი ოფის პირველ ეტაპზე ეს გუნდები ერთმანეთს კვლავ ბათუმში შეხვდებიან. მატჩი 9 აპრილს გაიმართება;

8 აპრილს კი „აია არენაზე" ქუთაისური დერბია – აია-არესი;

ლელო და ხარები 22 აპრილამდე ისვენებენ და შესარჩევ ფინალს თბილისში გამართავენ.

# შედეგები

## 2 აპრილი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი ............ 1:0
ნიუკასლი-მანჩესტერი ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 29 | 23 | 3 | 3 | 70-27 | 72 |
| 2.სიტი | 28 | 20 | 4 | 4 | 71-26 | 64 |
| 3.ნიუკასლი | 27 | 13 | 11 | 3 | 41-19 | 50 |
| 4.მანჩესტერი | 27 | 15 | 5 | 7 | 41-37 | 50 |
| 5.ტოტენჰემი | 28 | 15 | 4 | 9 | 52-40 | 49 |
| 6.ბრაიტონი | 26 | 12 | 7 | 7 | 49-34 | 43 |
| 7.ბრენტფორდი | 28 | 10 | 13 | 5 | 46-37 | 43 |
| 8.ლივერპული | 27 | 12 | 6 | 9 | 48-33 | 42 |
| 9.ასტონ ვილა | 28 | 12 | 5 | 11 | 37-39 | 41 |
| 10.ფულემი | 28 | 11 | 6 | 11 | 39-39 | 39 |
| 11.ჩელსი | 28 | 10 | 8 | 10 | 29-30 | 38 |
| 12.კრ.პალასი | 29 | 7 | 9 | 13 | 24-39 | 30 |
| 13.ვულვზი | 29 | 7 | 7 | 15 | 23-42 | 28 |
| 14.ვესტ ჰემი | 27 | 7 | 6 | 14 | 25-34 | 27 |
| 15.ნოტინგემი | 28 | 6 | 9 | 13 | 23-50 | 27 |
| 16.ბორნმუთი | 28 | 7 | 6 | 15 | 27-55 | 27 |
| 17.ლიდსი | 28 | 6 | 8 | 14 | 36-48 | 26 |
| 18.ევერტონი | 28 | 6 | 8 | 14 | 22-40 | 26 |
| 19.ლესტერი | 28 | 7 | 4 | 17 | 39-49 | 25 |
| 20.საუთჰემპტონი | 29 | 6 | 5 | 18 | 23-47 | 23 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-გლადბახი ............ 0:0
ვერდერი-ჰოფენჰაიმი ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 16 | 7 | 3 | 76-29 | 55 |
| 2.დორტმუნდი | 26 | 17 | 2 | 7 | 57-35 | 53 |
| 3.უნიონი | 26 | 15 | 6 | 5 | 41-28 | 51 |
| 4.ფრაიბურგი | 26 | 13 | 8 | 5 | 39-35 | 47 |
| 5.ლაიფციგი | 26 | 13 | 6 | 7 | 49-33 | 45 |
| 6.აინტრახტი | 26 | 11 | 8 | 7 | 47-37 | 41 |
| 7.ლევერკუზენი | 26 | 12 | 4 | 10 | 48-40 | 40 |
| 8.მაინცი | 26 | 11 | 7 | 8 | 43-36 | 40 |
| 9.ვოლფსბურგი | 26 | 10 | 9 | 7 | 46-34 | 39 |
| 10.გლადბახი | 26 | 8 | 8 | 10 | 40-44 | 32 |
| 11.ვერდერი | 26 | 9 | 4 | 13 | 40-50 | 31 |
| 12.აუგსბურგი | 26 | 8 | 5 | 13 | 34-47 | 29 |
| 13.კიოლნი | 26 | 6 | 10 | 10 | 33-44 | 28 |
| 14.ბოხუმი | 26 | 8 | 2 | 16 | 28-57 | 26 |
| 15.ჰოფენჰაიმი | 26 | 7 | 4 | 15 | 35-46 | 25 |
| 16.ჰერტა | 26 | 5 | 7 | 14 | 31-49 | 22 |
| 17.შალკე | 26 | 4 | 9 | 13 | 21-48 | 21 |
| 18.შტუტგარტი | 26 | 4 | 8 | 14 | 29-45 | 20 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

მაგდებურგი-ჰანზა ............ 3:0
პადერბორნი-ფიურტი ............ 3:2
კილი-არმინია ............ 2:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ალმერია ............ 2:2
რეალი-ვალიადოლიდი ............ 6:0
ვილიარეალი-სოსიედადი ............ 2:0
ატლეტიკო-ბეტისი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 23 | 2 | 2 | 53-9 | 71 |
| 2.რეალი | 27 | 18 | 5 | 4 | 57-21 | 59 |
| 3.ატლეტიკო | 27 | 16 | 6 | 5 | 44-19 | 54 |
| 4.სოსიედადი | 27 | 14 | 6 | 7 | 35-26 | 48 |
| 5.ბეტისი | 27 | 13 | 6 | 8 | 34-27 | 45 |
| 6.ვილიარეალი | 27 | 13 | 5 | 9 | 34-24 | 44 |
| 7.ბილბაო | 27 | 10 | 7 | 10 | 36-28 | 37 |
| 8.რაიო | 26 | 9 | 9 | 8 | 31-30 | 36 |
| 9.სელტა | 27 | 9 | 8 | 10 | 34-37 | 35 |
| 10.ოსასუნა | 27 | 9 | 8 | 10 | 22-27 | 35 |
| 11.ხირონა | 27 | 9 | 7 | 11 | 42-42 | 34 |
| 12.მალიორკა | 27 | 9 | 6 | 12 | 22-27 | 33 |
| 13.სევილია | 27 | 8 | 7 | 12 | 31-42 | 31 |
| 14.ხეტაფე | 27 | 7 | 9 | 11 | 27-34 | 30 |
| 15.კადისი | 27 | 6 | 10 | 11 | 21-40 | 28 |
| 16.ვალიადოლიდი | 27 | 8 | 4 | 15 | 20-44 | 28 |
| 17.ესპანიოლი | 27 | 6 | 9 | 12 | 33-44 | 27 |
| 18.ალმერია | 27 | 7 | 6 | 14 | 32-47 | 27 |
| 19.ვალენსია | 26 | 7 | 5 | 14 | 28-31 | 26 |
| 20.ელჩე | 27 | 2 | 7 | 18 | 19-55 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-ალავესი ............ 0:1
ლუგო-პონფერადინა ............ 0:0
ანდორა-მალაგა ............ 1:0
ხიხონი-გრანადა ............ 1:0
მირანდესი-იბიცა ............ 2:2

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-უდინეზე ............ 3:0
მონცა-ლაციო ............ 0:2
სპეცია-სალერნიტანა ............ 1:1
რომა-სამპდორია ............ 3:0
ნაპოლი-მილანი ............ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 28 | 23 | 2 | 3 | 64-20 | 71 |
| 2.ლაციო | 28 | 16 | 7 | 5 | 44-19 | 55 |
| 3.მილანი | 28 | 15 | 6 | 7 | 48-36 | 51 |
| 4.ინტერი | 28 | 16 | 2 | 10 | 47-32 | 50 |
| 5.რომა | 28 | 15 | 5 | 8 | 38-26 | 50 |
| 6.ატალანტა | 28 | 14 | 6 | 8 | 47-32 | 48 |
| 7.იუვენტუსი | 28 | 18 | 5 | 5 | 46-22 | 44 |
| 8.ბოლონია | 28 | 11 | 7 | 10 | 36-36 | 40 |
| 9.ფიორენტინა | 28 | 11 | 7 | 10 | 33-31 | 40 |
| 10.უდინეზე | 28 | 9 | 11 | 8 | 37-34 | 38 |
| 11.ტორინო | 27 | 10 | 7 | 10 | 29-33 | 37 |
| 12.სასუოლო | 27 | 10 | 6 | 11 | 35-40 | 36 |
| 13.მონცა | 28 | 9 | 7 | 12 | 32-39 | 34 |
| 14.ემპოლი | 27 | 6 | 10 | 11 | 24-36 | 28 |
| 15.სალერნიტანა | 28 | 6 | 10 | 12 | 32-48 | 28 |
| 16.ლეჩე | 27 | 6 | 9 | 12 | 24-32 | 27 |
| 17.სპეცია | 28 | 5 | 10 | 13 | 24-44 | 25 |
| 18.ვერონა | 28 | 4 | 7 | 17 | 22-42 | 19 |
| 19.სამპდორია | 28 | 3 | 6 | 19 | 16-47 | 15 |
| 20.კრემონეზე | 28 | 1 | 10 | 17 | 23-52 | 13 |

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

**იტალია. სერია ბ**

მოდენა-ჩიტადელა ............ 0:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლილი-ლორიანი ............ 3:1
ანჟე-ნიცა ............ 1:1
ბრესტი-ტულუზა ............ 3:1
კლერმონი-აიაჩო ............ 2:1
ნანტი-რეიმსი ............ 0:3
მონაკო-სტრასბური ............ 4:3
პსჟ-ლიონი ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 29 | 21 | 3 | 5 | 68-29 | 66 |
| 2.ლანსი | 29 | 17 | 9 | 3 | 48-21 | 60 |
| 3.მარსელი | 29 | 18 | 6 | 5 | 54-29 | 60 |
| 4.მონაკო | 29 | 17 | 6 | 6 | 61-40 | 57 |
| 5.ლილი | 29 | 15 | 7 | 7 | 54-37 | 52 |
| 6.რენი | 29 | 15 | 5 | 9 | 47-30 | 50 |
| 7.რეიმსი | 29 | 11 | 13 | 5 | 39-28 | 46 |
| 8.ნიცა | 29 | 11 | 12 | 6 | 38-26 | 45 |
| 9.ლიონი | 29 | 12 | 8 | 9 | 44-32 | 44 |
| 10.ლორიანი | 29 | 12 | 8 | 9 | 42-40 | 44 |
| 11.მონპელიე | 29 | 11 | 4 | 14 | 45-48 | 37 |
| 12.კლერმონი | 29 | 10 | 7 | 12 | 29-41 | 37 |
| 13.ტულუზა | 29 | 10 | 5 | 14 | 44-51 | 35 |
| 14.ნანტი | 29 | 6 | 12 | 11 | 30-40 | 30 |
| 15.ბრესტი | 29 | 6 | 9 | 14 | 33-47 | 27 |
| 16.სტრასბური | 29 | 5 | 11 | 13 | 37-50 | 26 |
| 17.ოსერი | 29 | 6 | 8 | 15 | 24-51 | 26 |
| 18.ტრუა | 29 | 4 | 9 | 16 | 38-62 | 21 |
| 19.აიაჩო | 29 | 6 | 3 | 20 | 21-52 | 21 |
| 20.ანჟე | 29 | 2 | 5 | 22 | 22-64 | 11 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-ბოავიშტა ............ 4:2
შავიში-სპორტინგი ............ 1:2
რიუ ავე-ბენფიკა ............ 0:1
პორტუ-პორტიმონენშე ............ 1:0

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

იგლზი-აიაქსი ............ 0:0
სპარტა-ფეინოორდი ............ 1:3
უტრეხტი-ვოლენდამი ............ 0:0
სიტარდი-გრონინგენი ............ 3:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენკი-ლეუვენი ............ 2:1
ეუპენი-ანდერლეხტი ............ 0:1
მეხელენი-ბრიუგე ............ 0:3
სენ ჟილუა-სტ.ტრუიდენი ............ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

უმრანიე-ქონია ............ 2:2
გირესუნი-ალანია ............ 2:2
ფენერბახჩე-ბეშიქთაში ............ 2:4

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ლინცერი ............ 2:2
კლაგენფურტი-ზალცბურგი ............ 0:3
შტურმი-რაპიდი ............ 3:1

შტურმის მესამე გოლი
ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-სელტიკი ............ 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანათინაიკოსი-ვოლოსი ............ 0:0
პაოკი-აეკი ............ 0:1
ოლიმპიაკოსი-არისი ............ 2:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ლუგანო ............ 2:1
ლუცერნი-სიონი ............ 1:2
სტ.გალენი-ციურიხი ............ 2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

სპარტა-ბრნო ............ 3:1
ტეპლიცე-ჰრადეც კრალოვე ............ 1:0
იაბლონეცი-პარდუბიცე ............ 1:0
ბოჰემიანსი 1905-სლოვაცკო ............ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-რადომიაკი ............ 1:1
კრაკოვია-ლოძი ............ 1:1
ლეხი-პოგონი ............ 2:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ლვოვი-დინამო ............ 0:2
მეტალისტი 1925-დნიპრო ............ 0:3
ზორია-რუხი ............ 3:0
ჩერნომორეცი-შახტარი ............ 2:2

შახტარის მეორე გოლი
გიორგი გოჩოლეიშვილმა გაიტანა

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-ვიბორგი ............ 0:3
კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი ............ 2:1
ლუნგბიუ-სილკებორგი ............ 1:1
ჰორსენსი-ოლბორგი ............ 0:4

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-სირიუსი ............ 1:1
ჰამარბი-დეგერფორსი ............ 3:1
გიოტებორგი-ვარნამო ............ 0:1
ჰალმშტადი-აიკი ............ 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უღელტეხილი კავკასიონზე; 2. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 4. საეკლესიო ლოცვათა, საგალობელთა კრებული; 5. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 8. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფი, პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა; 9. სახლზე დაშენებული არასრული სართული; 12. უკმაყოფილების მძაფრი გამოხატვა; 13. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 16. მდინარე გაგრაში; 17. ქართული მინერალური წყალი; 19. ქართული ხალხური ზღაპარი; 20. დილის სადილი.

**თარაზულად:** 6. ერთისა და იმავე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 7. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 8. სატრფიალო ხასიათის მეგრული ქალვაჟის ცეკვა; 10. სასტუმროს ერთ-ერთი ტიპი; 11. ქვით ნაგები ღობე; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 18. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 21. ყურის ექიმი; 22. ღვინის სასმისი; 23. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 24. ძველი გერმანული ტომი, რომელმაც დაარბია და გაძარცვა რომი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ნადური; 2. დასტა; 3. ჯეიმსი; 4. შამოტი; 6. გულიაში; 9. ბლუზი; 11. კონფუცი; 15. ლითოსფერო; 16. ქენონი; 17. მუხანათი; 19. ადიდასი; 21. მრწამსი; 22. დილეგი.

**თარაზულად:** 5. შენგელია; 7. უნიკუმი; 8. ამლახუ; 10. სლოგანი; 12. ტვინი; 13. კლოპი; 14. ყიზილბაში; 18. კაფია; 20. ნეგუსი; 23. ფიესტა; 24. წოტი; 25. ლენონი; 26. გორი; 27. ასესორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ინდაური; 2. უკრაინა; 3. ჰიუსტონი; 4. კაკაჩი; 5. ბოცვერი; 8. მარტელი; 9. იოსიმიტე; 12. ჩეფერინი; 13. ფსირცხა; 16. ვერდიქტი; 17. იაგუარი; 19. აწყური; 20. პუანტე.

**თარაზულად:** 6. ანტიკვარი; 7. ლაქტოზა; 8. მესტია; 10. ტურბინა; 11. ლეგო; 14. არსენალი; 15. აფერისტი; 18. თეორია; 21. წახნაგი; 22. ტუნგი; 23. ივრითი; 24. ციხისძირი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

4 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.5517 | ევრო — 2.7734 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1547 | 100 რუსული რუბლი — 3.2768 |

## ამინდის პროგნოზი 4 აპრილისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპალეტიმ მილანთან მარცხზე ისაუბრა



მილანმა საკუთარ მოედანზე ნაპოლისთან 0:4 წააგო და ეს მარცხი ყველასთვის მოულოდნელი იყო. ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ლუჩიანო სპალეტიმ მარცხი ფეხბურთელების დაღლილობას დააბრალა, რომლებიც ნაკრებიდან ახალი დაბრუნებული არიან: „ფეხბურთელები ფორმაში არ არიან და ეს სანაკრებო პაუზის ბრალია. მილანმა ყველა კომპონენტში გვაჯობა და აუცილებლად უნდა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები. ფეხბურთელებს მათ შეცდომებზე დაველაპარაკები“.

## მესის ფანებმა ისევ დაუსტვინეს



პსჟ საკუთარ მოედანზე ისევ დამარცხდა და ამჯერად ეს ლიონთან მოხდა. მესის გუნდმა მატჩი 0:1 დათმო და ლიონმა ეს გამარჯვება დაიმსახურა. მოხდა საკმაოდ უსიამოვნო ფაქტი და ლიონელ მესის მატჩის დასაწყისში ფანებმა ისევ დაუსტვინეს, რადგან უკვე ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მესი პსჟ-ს დატოვებს და ბარსელონაში დაბრუნდება. თამაშის შემდეგ ლეომ მოედანი მალე დატოვა და ფანებს არ მიესალმა.

## ერიკ ტენ ჰაგი: „ნიუკასლმა გამარჯვება დაიმსახურა“



მანჩესტერ იუნაიტედმა სტუმრად ნიუკასლთან წააგო და მატჩის შემდეგ ერიკ ტენ ჰაგმა თავისი ფეხბურთელები გააკრიტიკა. ტენ ჰაგის თქმით, მას არ ესმის, თუ რატომ ითამაშა მისმა გუნდმა ასე ცუდად: „ნიუკასლი ძლიერი გუნდია და მათ დღეს გამარჯვება დაიმსახურეს. ჩვენ გაცილებით უკეთ თამაში გვმართებდა და სამწუხაროა, რომ საუკეთესო თვისებები ვერ გამოვავლინეთ“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## გერმანულმა ყველმა მეფე კარლოს III ისტერიკამდე მიიყვანა



დიდი ბრიტანეთის მეფე კარლოს III-მ ვერ შეძლო, შეეკავებინა ისტერიული სიცილი, როდესაც ის გერმანიის ქალაქ ბრანდენბურგში მდებარე ბროდოვინის ფერმაში ტრადიციული გერმანული ყველის დამზადებას ცდილობდა.

მონარქის რანგში თავისი პირველი საზღვარგარეთული ვიზიტის ფარგლებში დიდი ბრიტანეთის მეფემ ფერმის მფლობელებთან ლიუდოლფ და კატიე ფონ მალტცანებთან და ასევე გერმანიის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან ერთად ყველის დამზადებაში მონაწილეობის მიღება ცადა.

თეთრ ხალათში გამოწყობილმა მეფემ განაცხადა, რომ ძალიან ცდილობდა, მაგრამ ყველის ნარევი ძალიან სწრაფად მოძრაობდა. ის თავგამოდებით ცდილობდა ყველის ფორმებში მოთავსებას, მაგრამ ვერ ახერხებდა და ამაზე ისტერიულად ხითხითებდა.

– უფრო გრძელი ხელები მჭირდება, – იხუმრა კარლოს III-მ მას შემდეგ, რაც სრული მარცხი განიცადა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

აფთიაქში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– პრეზერვატივების შეკვრა მომეცით.

– რომელი, 12 ცალიანი?

– დიახ.

– აქცია გვაქვს ბატონო: ყოველ შეკვრას ერთი ცალი ჰიგიენური სალფეტკი მოჰყვება.

– ეგ რა ჯანდაბად მინდა?

– შუბლიდან ოფლი რომ მოიწმინდოთ.

•••

ცოლი ქმარს ეშმაკური ღიმილით ეუბნება:

– საყვარელო, საცვალი არ მაცვია.

– კარგი, ძვირფასო, ნუ ნერვიულობ, დავიწყებ მუშაობას და ყველაფერს გიყიდი.

•••

იურისტი შვილი მამას ახარებს:

– მამა, იცი, მე მოვიგე ის საქმე, რომლის მოგებასაც მთელი ცხოვრება ვერ ახერხებდი!

– უტვინო! – მიუგო მამამ, – მაგ საქმის წყალობით გაგზარდე და მიგაღებინე განათლება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბარბარა სამხარაძემ პირველი საავტორო სიმღერა ჩაწერა



„ნიჭიერის“ გამარჯვებულმა მომღერალმა ბარბარა სამხარაძემ თავისი პირველი სიმღერა ჩაწერა.

ინგლისურენოვან საავტორო სიმღერაზე მან ვიდეორგოლიც გადაიღო და ინტერნეტში გაავრცელა.

ბარბარას სიმღერამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მას ათასობით ნახვა და გაზიარება აქვს.

## სანდრო გეგეჭკორი ჯულიარდის მუსიკის სკოლაში ჩაირიცხა



პიანისტი სანდრო გეგეჭკორი ნიუ იორკში ჯულიარდის მუსიკის სკოლაში ჩაირიცხა და იქ სწავლას აგვისტოდან გააგრძელებს. ჯულიარდის მუსიკის სკოლა სანდროს სამაგისტრო პროგრამის დაფინანსებისთვის 70.000-დოლარიან სტიპენდიას გამოყოფს.

**სანდრო გეგეჭკორი:**

– შემიძლია, ამაყად და დიდი სიხარულით გაცნობოთ, რომ ჩემი ცხოვრების გარდამტეხი ეტაპი დადგა. ჩავირიცხე მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ „ჯულიარდის სკოლაში“ და სწავლას გავაგრძელებ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ნიუ იორკში 2023 წლის აგვისტოდან. მინდა, ყველა ადამიანს, თითოეულ თქვენგანს, ჩემს პროფესორს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას გადავუხადო უდიდესი მადლობა.

## გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ ესპანურად ითარგმნა



**მწერალ გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ ესპანურად ითარგმნა და სულ მალე წიგნადაც გამოიცემა:**

– ჩემი „თომას ზღაპრები“ ესპანურად ითარგმნა და მალე ესპანეთში გამოიცემა. აქამდე გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ჩინეთში, თურქეთში, იორდანიაში ჩერქეზულად.

## ბექა ქურხული პრემია „საბამ“ კონკურსიდან მოხსნა



მწერალ ბექა ქურხულის წიგნი „უკრაინული დღეები“ ლიტერატურულმა პრემია „საბამ“ კონკურსიდან მოხსნა და გამომცემლობა „ინტელექტს“ წერილითაც მიმართა.

**სამწერლობო სფეროში ამ ფაქტმა დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომ „საბას“ მესვეურებმა ბექა ქურხულთან დაკავშირებით გამომცემლობისადმი მიწერილი წერილი გაასაჯაროვეს:**

– მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ვასაჯაროებთ „საბას“ მიწერილ წერილს გამომცემლობა „ინტელექტისადმი“: დასაწყისისთვის დიდ პატივისცემასა და მადლიერებას გამოვხატავთ იმ წვლილის გამო, რომელიც თქვენს გამომცემლობას შეაქვს ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესში. „საბას“ არსებობის მანძილზე თქვენი გამომცემლობის არაერთი შესანიშნავი წიგნი ყოფილა ნომინანტთა თუ ლაურეატთა შორის.

აქვე გვინდა, მცირე განმარტება და ინფორმაცია მოგაწოდოთ ბექა ქურხულის „უკრაინულ დღიურებთან“ დაკავშირებით, რომელიც 2023 წლის „საბას“ პრემიაზე წარმოადგინეთ. პირველ ყოვლისა, ძალიან გაგვაკვირვა წარმოდგენილ წიგნთა ნუსხაში ხსენებული ავტორის ხილვამ. ავტორმა არაერთხელ საჯაროდ, სრულიად უკადრისი ფორმით პიროვნული შეურაცხყოფა მიაყენა ლიტერატურული პრემია „საბას“ ორგანიზატორებსა და ჟიურის წევრებს. „ქუჩური გარჩევების“ სულისკვეთებით, ლიტერატორების ღირსების შემლახველი სიტყვებითა და მუქარით, ადამიანების დედის გინებით იგი თავად გავიდა ლიტერატურული და ზოგადად ადამიანური ეთიკისა და ქცევის ჩარჩოდან, ლიტერატურული პოლემიკისა და დისკუსიების სივრციდან. „საბასთვის“, დღიდან დაარსებისა, არ არის უცხო მწვავე ლიტერატურული კრიტიკა. ჩვენ არათუ მივესალმებით, არამედ, ხშირ შემთხვევაში, თავად ვუწყობთ ხელს „საბას“ ირგვლივ სრულიად განსხვავებული ხედვებისა და პერსპექტივების გაჩენასა და წარმოჩენას, თუმცა არასდროს დავუშვებთ, მრავალი ადამიანის მრავალწლიანი შრომითა და გარჯით მოპოვებული მონაპოვარი – ქართული ლიტერატურული პროცესი, თავისი აზრისა და ქცევის მაღალი სტანდარტით ერთი ავტორის მიერ საკუთარი კოლეგების ღირსების შემლახველ გინებამდე და ქუჩურ გარჩევებამდე დაეცეს. შესაბამისად, ლიტერატურული პრემია „საბა“ არ განიხილავს თქვენ მიერ წარმოდგენილი ავტორის წიგნს.

აქვე დავძენთ, რომ „საბა“ არის დამოუკიდებელი პლატფორმა, საკუთარი წესებითა და სტანდარტებით. მასში მონაწილეობა გულისხმობს ორმხრივ თანამშრომლობას, შესაბამისად, მინიმალური სტანდარტების დაცვასა და პატივისცემას.

ჩვენ სრულიად სამართლიანად არ ვაპირებთ, ვიტვირთოთ იმ წიგნების მხატვრული შეფასება, რომელთა ავტორებიც წლების განმავლობაში პირდაპირი მნიშვნელობით დედას აგინებენ და ემუქრებიან პრემიის ორგანიზატორებსა და ჟიურის წევრებს. ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია სხვადასხვა წლებში ჟიურიში მომუშავე ადამიანებისა და პრემია „საბას“ დაცვა და, რაც მთავარია, თანმიმდევრული, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული საქმიანი ურთიერთობების გაფრთხილება და ჯანსაღი ლიტერატურული პროცესის შენარჩუნება.

**მომხდართან დაკავშირებით განმარტება ბექა ქურხულმაც გააკეთა:**

– დამირეკეს გამომცემლობა „ინტელექტიდან“ და მითხრეს, ლიტერატურული პრემია „საბას“ საორგანიზაციო კომიტეტიდან თუ რავი, რა ჰქვიათ, დიდი არზა მივიღეთ, სადაც გვამცნობენ, რომ ბექა ქურხულის „უკრაინულ დღეებს“ კონკურსზე ვერ მივიღებთ, რადგან ბექა ქურხული ცუდი ბიჭია, წარსული 90-იანი წლების გადმონაშთი, როცა რამე არ მოსწონს ან უსამართლოდ მიაჩნია, იგინება, ირტყმევინება და ჩხუბობსო...

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ასტროპროგნოზი



4 აპრილისათვის

**ვერძი** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეგიძლიათ. კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. **კურო** – დაიტვირთეთ ფიზიკურად, დაკავდით სპორტით. ერიდეთ კამათს მეგობართან. **ტყუპები** – ეცადეთ, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ. გამორიცხული არ არის რომანტიკული შეხვედრა ან ვახშამი ახლობლების წრეში. **კირჩხიბი** – თავს მშვიდად და ენერგიულად გრძნობთ. ახალი ნაცნობობა ხალისს შეგმატებთ. **ლომი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. ხელმძღვანელობასთან კამათს ერიდეთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. თუ გაწყენინეს, დიდსულოვნება გამოიჩინეთ და აპატიეთ. **სასწორი** – მეტი დრო დაუთმეთ პარტნიორულ ურთიერთობებს. კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა დღის დევიზია. **ღრიანკალი** – ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ. საყიდლებზე წასვლა სამომავლოდ გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ავანტიურისტებს. ოპტიმიზმი პირად ცხოვრებაში შექმნილი კრიზისის დაძლევაში დაგეხმარებათ. **თხის რქა** – პროფესიონალურ სფეროში ან პირად ცხოვრებაში მოულოდნელად სიძნელეები შეგხვდებათ. ჩანაფიქრის განხორციელებაში მეგობრები დაიხმარეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ახლობლებს ნუ დაივიწყებთ. დაეხმარეთ მათ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. შექმნილი ვითარება გეგმების შეცვლას გაიძულებთ. დღის მეორე ნახევარი მშვიდი და ჰარმონიული იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 2. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 9. ყვითელი ფერის, მტკიცე, გამჭვირვალე მინერალი; 11. სამშობიარო სახლის სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. წერილობითი ხელშეკრულება; 16. კვანტური გენერატორი; 17. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 19. თეორემა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 21. გრძელ დისტანციებზე მორბენალი მძლეოსანი; 22. ღვინის ვაჭარი ძველად.

**თარაზულად:** 5. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 7. მჭევრმეტყველი ადამიანი; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 10. ღამის პეპელა; 12. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 14. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 18. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 20. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 23. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 24. ქართული ლუდი; 25. უღელტეხილი კავკასიონზე; 26. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 27. გულის ნორმალური მუშაობის რიტმის დარღვევა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

